ერთიანი თავისუფლების გზით – პირთიანი თავისუფლებისაკენ!
პირთიანი თავისუფლების გზით – ერთიანი თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№36 (1474) 5 -12 აგვისტო, 1996 წელი

უდანაშაულო მამა! უდანაშაულო შვილი!



პასუხად
თენგიზ
კიტოვანს

მე-2 გვ



ვახტანგ გოგუაძე:

ეს პარლამენტი არ ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით

მე-3 გვ.

ადამიანების კორიდა

თანამედროვე გლადიატორები

მე-6 გვ.

ქუთაისელი პოლიციელები ელექტროდენს იყენებენ

– ითქვა საქართველოს პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე

3 აგვისტოს, რესპუბლიკის პროკურატურაში, შედგა საქართველოს პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა იმ პრობლემების, კრიტიკული შენიშვნების და წინადადებების განხილვას, რომელიც გამოითქვა საქართველოს მთავრობის მიერ, 19 ივლისს გამართულ სხდომაზე, სამართლებრივი ორგანოების მიმართ.

რატომ ვერ ხერხდება ათეულობით მჭიმე დანაშაულის გახსნა, რატომ ჭიანურდება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება და რატომ იღებენ უკანონო გადაწყვეტილებებს, — ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე ისაუბრა თავის გამოსვლაში გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა.

— „ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმებისადმი თავისი დამოკიდებულება საქართველოს პროკურატურამ არა ერთხელ გამოხატა და ამ მიმართებით სრული ერთსულოვნება სუფევს. ჩვენ არა მარტო მთლიანად ვუჭერთ მხარს რეფორმებს, არამედ კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად ვმონაწილეობთ მათ განხორციელებაში.

— პოლიციელთა მხრიდან ხშირია ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტები, — თქვა თავის გამოსვლაში პროკურორმა თენგიზ მახარაძემ, მათ მიმართ მიმდინარე წელს აღძრულია 378 სისხლის სამართლის საქმე,

დასასრული მე-8 გვ.

უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

პასუხად თენგიზ კიტოვანს

წერილი მეორე

ᲨᲔᲜ, ᲩᲔᲛ ᲗᲐᲕᲨᲙᲕᲓᲐᲠᲝ! შენ, ჩემ თავშკვდარო ბატია! ეს რამდენი რამე გიკადრია ჩემი ცოდვით სავსევ! ვკითხულობ შენზე საბრალდებო დასკვნას და საცოდაობით ვიწვი — საქართველოს საცოდაობით!

რადგან ფარდა უნდა ავხადოთ საიდუმლოს, მორცხვად — ერთ კუთხეს რომ ვერ წამოვწევთ, პატივცემულო მკითხველებო, ამიტომ, დე შრიალით გაიხსნას ფარდა — მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდეს ბატიას მონუმენტური პორტრეტი — საქართველოსთვის, სამართლიანობისთვის წამებული რაინდის ბიოგრაფია ღირსია იმისა, რომ მისმა სამშობლომ გულის ფიცარზე დაიწეროს კიტოვანისადმი მიძღვნილი საბრალდებო დასკვნების თითოეული სიტყვა — ტომები, რომლებსაც დღემდე სისხლი სდის — სისხლი, მაგრამ არა კიტოვანებისა!

როდის იწყება ბატიას კრიმინალური ისტორია, ბევრის მნახველი პროკურატურისათვისაც კი უცნობია. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შტრიხს შემოგთავაზებთ მისი ბიოგრაფიიდან. დარწმუნებულები ვართ ეს რამოდენიმე შტრიხიც მეტყველი აღმოჩნდება. აბა, ჰე, ბატია! ვითომც შავნაბადაზე ვართ — „ლაპარაკობს თავისუფალი რადიოსადგური შავნაბადა!“

ᲐᲠ ᲨᲔᲒᲔᲨᲐᲚᲝᲗ! ᲘᲡ ᲛᲔ ᲕᲐᲠ, ᲑᲐᲢᲘᲐ!

კიდევ კარგი გადავრჩით — ღმერთმა უშველოს გამომძიებელ კუპრავას — ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს იმ ქვეყნად, რომ არა გამომძიებელი, ბატიას ბიოგრაფიის ერთი ნაწილი შეიძლება დაკარგულიყო შთამომავლობას. გამომძიებელმა კუპრავამ დააფიქსირა, რომ თენგიზ შოთას ძე და თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი ერთი და იგივე პირია. ამ პროცედურას იურიდიული ფორმა აქვს (დოკუმენტების სტილი აქ და შემდგომაც დაცულია!);

„დადგენილება

პიროვნების ერთი და იგივე პირად ცნობის შესახებ

9 აპრილი, 1970 წელი.

საქ. სსრ შ.ს.ს. საგ. სამმართველოს გამომძიებელმა, მილიციის მაიორმა კუპრავამ განიხილა №228 ს.ს. საქმის მასალები თ.კ.კიტოვანის ბრალდების საქმეზე.

გამოვარკვიე:

ბრალდებული თენგიზ კიტოვანი სისხლის სამართლის არქივის დოკუმენტებში №127091, რომელიც აღძრულია ქარელის რაიმილიციის მიერ. 20.11.1962 წელს, ს.ს.კ. 228—II და 112—I მუხლებით და ს.ს. №115827 საქმეში, რომელიც აღძრულია ბორჯომის. მილიციის რაიონული განყოფილების მიერ ს.ს.კ. 241—II მუხლით, მოხსენიებულია მამის სახელი — **შოთას ძე და არა კალისტრატეს ძე.**

დედგენილია, რომ მამამისს — კალისტრატე გიორგის ძე კიტოვანს, გარდა **კალისტრატესი,** აქვს მეორე სახელიც — **შოთა** და ამ სახელით იცნობენ მას ახლობლები და ნაცნობები, ე.ი. **თენგიზ შოთას ძე კიტოვანი და თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი** ერთი და იგივე პირი — კერძოდ, თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანია.

ამიტომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე,

დავადგინე:

თენგიზ შოთას ძე კიტოვანი და თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი ცნობილ იქნას ერთი და იგივე პირად — თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანად.

საქ.სსრ შ.ს.ს. საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი, მილიციის მაიორი კუპრავა“.

ახლა, მომავლის ისტორიკოსებს ნამდვილად გაუოლდებათ საქმე, თორემ რამდენი შოთას ძე გამოჩნდება, ბატიას ღვაწლის მითვისებას რომ შეეცდება! მოკლედ, გადავრჩით!

„ᲡᲐᲮᲐᲠᲔ ᲮᲑᲝᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲠᲐᲕᲨᲘ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ“-Ო!

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ

„თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი, 1938 წელს დაბადებული ქ.თბილისში, ეროვნებით ქართველი, უცოლო, ალკ წევრი, აღრიცხვაზე ალკ კალინინის რაიკომში, სამხედრო ვალდებულის, სამართალში არ ყოფილი, მუშაობს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრად, მცხოვრები ძნელაძის ქ. №9-ში. თენგიზ კიტოვანს ბრალი ედება მ.სში, რომ ავინა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დაზარალებულ მეხილე გრიგორიანს, შოთა გიგაურს და თინა ალადაშვილს — დანაშაული გათვალისწინებულია ს.ს.კ. 228 მუხლის პირველი ნაწილით და ს.ს.კ. 112 მუხლის მეორე ნაწილით. სასამართლომ გამოარკვია: 1960 წლის 25 ნოემბერს,ე კიტოვანი იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, რომელმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეხილე გრიგორიანს. 1961 წლის 9 აპრილს თავის საცხოვრებელ სახლში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შოთა გიგაურს და თინა ალადაშვილს. ყველა ამ მასალების შეკრების შემდეგ, თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი, მიცემული იქნა პასუხისგებაში, ხოლო შემდეგ სამართალში. სასამართლოს კიტოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული მიაჩნია დადასტურებულად შემდეგი საფუძვლების გამო: დადგენილია, რომ 1960 წლის 25 ნოემბერს სამართალში მიცემული კიტოვანი იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში. მას თავის სახლის მახლობლად შეხვდა ნაცნობი მეხეილ გრიგორიანი, რომელიც მიიპატიჟა ღვინის დასალევად. გრიგორიანი არ დაეთანხმა, მაგრამ კიტოვანი არ ეშვებოდა. ხოლო შემდეგ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გრიგორიანს (მეტის ღირსი იყო! თ.კ.). 1961 წლის 9 აპრილს კიტოვანი თავის საცხოვრებელ სახლში მოვიდა ნასვამი. მოუვიდა ლაპარაკი მეზობელ შოთა გიგაურთან, რომელსაც გაარტყა ხელი სახეში და წავიდა. მაშინვე .დაბრუნდა უკან და შევიდა შოთა გიგაურის ბინაში, სადაც მას უთხრეს, თუ რატომ გაარტყა შოთას (უყურე შენ? არამკითხე...) კიტოვანმა პასუხი გასცა იმით, რომ ხელი გაარტყა გიგაურის მეუღლეს თინა ალადაშვილს (აი, ყონაღ! თავიდანვე ეტყობოდა სამინისტრო კაცი რომ იყო! თ.კ.), შემდეგ ჩაამტვრია შუშაბანდის მინა და გამოვიდა გარეთ (დიდი ამბავი. შუშაბანდის მინა კი არა, ნახევარი თბილისი თავზე დაგვალწა და ხმაც არ ამოგვიღია! თ.კ.). ამ გარტყმის შედეგად თ.ალადაშვილმა და შ.გიგაურმა მიიღეს მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად“...

... და მოესაჯეს ბატიას რაცხა ერთი წლით შრომა-გასწორებითი მუშაობა ხელფასის 15%-ით დაკავებით. თუ კალისტრატესა და ბატიას ვერწმუნებით, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციას ჰქონდა ადგილი — ვინ იყო მაშინ ც.კ. მდივანი? ვასილ მჟავანაძე, მგონი. მერე რა, იგი ვერ მოუწყობდა პროვოკაციას კიტოვანების ოჯახს თუ რა?!

პროვოკაციები კი გრძელდება!

1962 წლის 9 ივნისს, ბატიამ ქარელში, სასადილოსთან, მაგრად თეთქვა ვინმე როინაშვილი. როინაშვილმა განცხადებით მიმართა მილიციას. საპასუხოდ კალისტრატე — შოთამაც განცხადება გააშანშალა და განაცხადა, რომ ამ როინაშვილმა თურმე ბატიას მამას — ქარელის ხალ-კენკროვანი ღვინის წარმოების უფროსს, რამდენიმე თვის წინ, შეურაცხყოფა მიაყენა და გაძარცვა. იმ დღიდან მოყოლებული მტრობდა თურმე როინაშვილი კიტოვანების ოჯახს და პროვოკაციებს უწყობდა.

ს.ს.საქმე ბატიას მიმართ... შეწყდა!

და ისევ 1962 წელი: ნაწყვეტი სასამართლო განაჩენიდან:

„სამართალში მიცემული კიტოვანი, თავისი ამხანაგებით. 1962 წლის 11.07, ღამის დაახლოებით 23 სთ-ზე, იდგა ჭუჩაში, ძნელაძისა და ჯორჯიაშვილის ჭუის კუთხეში, სადაც შემთხვევით გამოიარა თავისი მამის მანქანით მაჭავარიანმა. მან შენიშნა რა ჭუჩაში მისი ნაცნობი გოგონა ლ.შ. გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, თავისთან მიიხმო ლ.შ. მათ შორის საუბრის დროს, მათთან მივიდა კიტოვანი და უხეშად მიმართა მაჭავარიანს“... მერე თეთქვეს მაჭავარიანი და სამ ადგილსაც დაჭრეს კიტოვანმა და მისმა მეგობრებმა. მაჭავარიანმაც გაუყარა თავისივე დანა კიტოვანს მკლავში.

როგორც ხედავთ, ხელისუფლების პროვოკაციები გრძელდება ბატიასა და მისი ოჯახის მიმართ — ხან გრიგორიანს მიუგზავნიან, ხან მაჭავარიანს, ხან ალადაშვილსა და რა ვიცი ვის არა!

ამჯერად, ერთი წლით პატიმრობა მიესაჯა ბატიას, მაგრამ ეგ არაფერი, მამიკო კარგად უმყოფოს და!

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 28 დეკემბერს განიხილა პროტესტი ზედამხედველობის წესით და ბატიას გათავისუფლება დაადგინა:

„საქმეში არსებული მასალებით კიტოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული პრეზიდიუმს დადგენილად და დადასტურებულად მიაჩნია, მაგრამ მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებული თ.კ.კიტოვანი არის სამხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი. აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები მას ახასიათებენ, როგორც ნიჭიერ სტუდენტს და აკადემიის სტუდენტთა საერთო კრება შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე კიტოვანის მათზე გადაცემის შესახებ მისი შემდგომი აღზრდა გამოსწორების მიზნით, **კიტოვანი ავადმყოფი პიროვნებაა, რისთვისაც იგი განთავისუფლებულია სამხედრო სამსახურიდან.!!**

ა,ჰა,ჰა,ჰა! ეს რა წაიკითხეს ჩემმა დასავსებმა თვალებმა! კიტოვანი ავადმყოფი პიროვნებაა! ვის იგდებთ თქვე ციგნებო მასხარად! თავდაცვის მინისტრი, გენერალი, ჯარიდან ავადმყოფობის გამო გამობუნძულესო!

ჩუთვალეთ ბატონო, ჩუთვალეთ პირობით სამი წელი გამოსაცდელ ვადად! მეტი არაა ჩემი მტერი. ეგ გამოცდა ბატიამ არ ჩაგიგდოთ! ა, ბურთი და ა, მოედანი! არა გჯერათ, არა? აბა, ენახოთ!



ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲘᲢᲝᲕᲐᲜᲘ

„ᲒᲐᲛᲝᲦᲛᲘᲗ ᲛᲔ ᲕᲐᲠ, ᲒᲐᲦᲛᲘᲗ ᲨᲔᲔᲕᲔᲜ!..“

„მე, საქართველოს სსრ სახ.წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სამსახურის განყოფილების უფროსმა, ინსპექტორმა, პოდპოლკოვნიკმა კ.კაპანაძემ, ბორჯომის მილიციის განყოფილების ინსპექტორ, ლეიტენანტ ლ.გ.ჩადუნელის, ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზა „დინამოს“ დირექტორ ვლადიმერ პეტრეს ძე ფანჯაკიძის, სპორტსმენ ანატოლი გიორგის ძე ბანდურის, ბეჟან სოკრატეს ძე მიქაბერიძის და ნიკოლოზ გიორგის ძე მიქაბერიძის თანდასწრებით, დღეის რიცხვით შეკადგინე ეს აქტი შემდეგზე:

1963 წლის 5 თებერვალს, 19 საათსა და 30 წუთზე, დაბა ბაკურიანში ლენინის ქუჩაზე, სახლი №38 წინ. ავტომანქანა „ვოლგა“, სერია გრხ 55-30, რომელიც მიდიოდა დიდი სისწრაფით დაეჯახა დაბა ბაკურიანში მცხ. გავეა პავლე სიმონის ძე-ს, დაბადებულს 1933 წელს, სპორტის ოსტატს, უპარტიოს, ცოლშვილიანს და მძიმედ დააშავა იგი. ეცნობა: მანქანა, რომელსაც დაუზიანდა მარცხენა ფარი (ბამპერი), მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ გაჩერებულიყო, არ დაემორჩილა მოქალაქეების მოწოდებას და გაიქცა, ჯერ ახალქალაქის მიმართულებით, ხოლო შემდეგ მობრუნდა ჩაქრობილი ფარით, მიუხედავად იმისა, რომ წინ გადაუდგნენ, გაიქცა. ამ დროს ერთ-ერთმა მოქალაქემ ესროლა ქვა და მოარტყა კუბაოს მარჯვენა მხარეს. შემთხვევის ადგილზე ამოღებულია ფარის ნამსხვრევები, რაც აქტს თან ერთვის თერმეტი ცალის რაოდენობით, მანქანის ფარი ბუქი ლურჯი, ზემოდან თეთრი, რაზედაც ხელს ვაწერ. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა რაზმის მეთაური ფანჯაკიძე თავისი წევრებით“.

ა! ტანი ცუდს მიგრძნობს! ახლა შევარდნაძე ბატიას ნამდვილად პროვოკაციას უწყობს, მაგრამ იქნებ არ გამოუვიდეს, ა?

„აქტი, 1963 წ. 5 თებერვალი, ქ.ბორჯომი. მე. მილ. ბორჯომის რ/განყ. უბნის რწმუნებულმა კუპრაძემ (კურადღება მიაქციეთ ამ გვარს! ეს კუპრაძე, მე მგონი შემდეგ, — შევარდნაძის დავალებით გამოიცვლის გვარს, გახდება კუპრავა და მეორე პროვოკაციულ ავარიას გამოიძიებს! თავი მომჭერით თუ ასე არ იყოს!) თანდასწრებით უბნის რწმუნებული შაყულაშვილის, ორჯონიკიძისა და ავტომანქანის მძღოლ მჭედლიშვილისა, დღეის რიცხვს, ჩვენს მიერ შედგენილი იქნა აქტი მასზედ, რომ ამა წლის 5 თებერვალს, საღამოს შვიდ საათზე, ელსმენით დაბ. ბაკურიანიდან შეტყობინებული იქნა, რომ ა/მანქანა „ვოლგა“, სახელმწიფო №55-30 გრხ დაეჯახა მოქალაქეს და გამოიქცა შემთხვევის ადგილიდან ქ.ბორჯომის მიმართულებით. შემთხვევის ადგილიდან გაქცეული ა/მანქანის დასაკავებლად წავედით ზემოთდასახელებული ამხანაგები ბორჯომიდან წაღვერის მიმართულებით. მე-8 კმ-ზე შეგვხვდა ა/მანქანა „ვოლგა“ 55-30 გრხ. ჩვენს ნიშანზე გაჩერებულიყო არ გაჩერა და გაიქცა, რომელსაც დავედევნე. ა/მანქანა „ვოლგა“ მიდიოდა გადაჭარბებული სიჩქარით, მას, ასევე გზაში, დახვდა ბორჯომის რ/მილიციის ავტოინსპექტორი ხვედელიძე და ზუკაკიშვილი, იმათაც არ გაუჩერა მანქანა და უფრო მოუმატა სიჩქარეს, ვინაიდან ჩვენ დავედევნეთ და მას არ ჰქონდა გაქცევის საშუალება, ა/მანქანა „ვოლგა“ შეუხვია 26 კომისრების ქუჩაზე. ავიდა ქუჩის ბოლოს, ხრამთან მიატოვა ავტომანქანა და თვითონ კი გაიქცა რკინიგზის მიმართულებით. ჩავიდა რკინიგზაზე და დაიმალა, მაგრამ როდესაც დავუწყეთ ძებნა ა/მანქანის მძღოლი, როგორც ბოლოს გამოირკვა, გვარად კიტოვანი თენგიზ შოთას ძე (იგივე კალისტრატოვიჩი! თ.კ.), ტანსაცმლიანად შევიდა .მდ.მტკვარში, გაქცევის მიზნით გაცურა (არა, შენმა მზემ, თებერვალში „ზაგარის“ მისალებად შეტოპავდა მტკვარში!) ნაპირიდან რამდენიმე — 5-10 მეტრზე, დაუსველდა ტანსაცმელი (ა! ეს მილიცია გადამრევს თავისი კომენტარებით! თ.კ.), მძღოლმა კიტოვანმა ვეღარ შეძლო მეორე ნაპირზე გაცურვა და გამობრუნდა უკან, რის შემდეგ ჩვენს მიერ დაკავებული და წარდგენილი იქნა მილიციის განყოფილებაში, რაზედაც შედგენილი იქნა აქტი და ხელს ვაწერთ...“

თქვენ მიგახლათ ეგ ხელები, თქვე გარეწრებო! რომ გაციებულიყო ჩემი ბატია, რას შვრებოდით მაშინ, ა?

ეს რას გიშვრებიან, შენ, ჩემ თავშკვდარო ბატიავ, ესაა სამართალი? ჭუჩაში წყნარად ვერ გაგივლია — თბილისი იქნება, ქარელი თუ ბაკურიანი — პროვოკაციას პროვოკაციაზე გიწყობენ ყველა რანგისა და ჩინის მილიციელები, ხელისუფლება! ამ კუპრაძე — კუპრავებმა ხომ სისხლი გაგიშრეს, შენ, ჩემ თავშკვდარო, შენ, ჩემ თავშკვდარო ბატიავ!

ამონაწერი სასამართლო ოქმიდან:

„სამართალში მიცემული კიტოვანი აღნიშნავს, მე საჭესთან არ ვმჯდარვარ; სხვა ოჯდა. გვარი არ ვიცი, სახელი სოსო ერქვა (ნეტა ჯუღაშვილი ხომ არ იყო გვარად? თ.კ.) **„ვოლგა“ წამართვეს, მე თავში ჩამარტყეს, უკან ვეგდე იქვე, როგორ მოხდა დაჯახება ან ვინ დაჯახა, ეს მე არ ვიცი.** ვსწავლობ სამხატვრო აკადემიაში მესამე კურსზე, **პასუხისგებაში არ ვყოფილვარ.** მე ნასვამი ვიყავი, მაგრამ რულზე არ ვმჯდარვარ!“

არ გიჯერებენ შენ, ჩემ თავშკვდარო ბატია, არ გიჯერებენ, ჩემო წესიერო სტუდენტო!

გეთუ!

ბატია, შენ ახლა დრო თავზე საყრელად გაქვს, ასე რომ, მოემზადე — შემდეგ წერილს ერქმევა —

„ჩემი ძვირფასი მამიდა!“

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲥᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ბატონ ეროვნებისა

კიდევ ერთი რიგგარეშე კითხვა სამ ნაწილად:

ა) მოკლედ როგორ შეადარებდით ძველსა (ანუ თქვენსა) და ახალ პარლამენტს;

ბ) როგორი როლი შეასრულა წინა პარლამენტმა საპარლამენტო ასამბლეებში მოღვაწეობით;

გ) ადამიანური ანუ კულისებს მიღმა ურთიერთობის ზოგიერთ დეტალებზე, თუ იყო რამე ღირსსახსოვარი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 26,27,28,29,30,31,32,33,34,35

ზოგი მწარე და ზოგიც ნელ-თბილი შეკითხვა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს

ვახტანგ გოგუაძე: ეს პარლამენტი არ ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით

— **ახლანდელი** პარლამენტის მოღვაწეობის დაწყებიდანვე დაიწყეს ძველსა და ახალს შორის შედარებები. მე მგონი ძალიან ვჩქარობთ, ამ შედარების დიაგნოზს დრო დასვამს. თუმცა მოკრძალებული პროგნოზის უფლება ახლაც გვაქვს. ახალ პარლამენტში, როგორც ძველში, ბევრი გონიერი და ღირსეული დეპუტატია. ამ პარლამენტს აქვს მომავალი, როცა ყველა დეპუტატი მიიხედ-მოიხედავს და პირველ ყოვლისა თავის ამომრჩევლებს შეხედავს თვალებში, გათავისუფლდებიან შებოჭილობისაგან. ხალხი მოტყუებას არ გვაპატიებს. პირველ რიგში, ამ მხრივ ცოცხალი კავშირია მაჟორიტარ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის. დეპუტატის ტვირთი მართლა მძიმე და მძიმე ხდება. ამიტომ კონიუნქტურის მორჩილი დეპუტატი უპერსპექტივოა. ახლანდელი პარლამენტის უპირატესობად თვლიან, რომ კანონების მიღება ხდება შეუფერხებლად, საამაყოა მისი რაოდენობრივი მაჩვენებლები. მე ცოტა სხვაგვარად მგონია, რაოდენობრივი სიუხვე უფრო მონოპარლამენტის უპირატესობაა, რომელსაც არ ჰყავს ოპოზიცია, ან თუ ჰყავს, მისი რაოდენობა გავლენას ვერ ახდენს ქვორუმზე, კენჭისყრაზე. ამ მხრივ გაცილებით უკეთესი რაოდენობრივი მაჩვენებლები ჰქონდა გამსახურდიას პარლამენტს. გავა დრო და წინა პარლამენტს საამაყოდ ჩაეთვლება ზოგიერთი კანონის არმიღება, რომელიც ამ პარლამენტმა მიიღო. მაგრამ მთავარი განსხვავება ეს მაინც არაა. ძველი პარლამენტი ცხოვრობდა ხალხის ცხოვრებით, ეს პარლამენტი, როგორც გამსახურდიას პარლამენტი, არ ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით. თვითონ პარლამენტის წევრები, მისი ახლანდელი სპიკერატი უაღრესად კორექტულნი არიან ურთიერთობაში, მაგრამ სახელმწიფოებრივი სტრუქტურა იმგვარია, რომ პარლამენტის საჭეს ვერ ფლობს თვითონ პარლამენტი. ძველი პარლამენტი ისეთივე საშინელი იყო საცქერად და სასმენად, როგორც იყო მაშინდელი ჩვენი ცხოვრება. ავიწყდებათ, რომ მაშინ ომი იყო. ომის პერიოდში, ჩვეულებრივ, პარლამენტის მუშაობას აჩერებენ ხოლმე. ახლა ომი შეჩერებულია (და არა დამთავრებული), ვიდრე ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულია, ომი დამთავრებულად არ ითვლება. ახლა ჩვენ სოციალური ტრაგედიის წინაშე ვართ. ახლა უთოფოდ, შიმშილით იხოცება ხალხი. დიახ, ის პარლამენტი ცხოვრობდა ხალხის ცხოვრებით და ეს დროებითი მშვიდობაც, დღეს რომ ყველას თავის დამსახურებად მიაჩნია, უწინარესად, სწორედ იმ პარლამენტის დამსახურებაა. დანარჩენი დროს მივანდოთ, ჩვენ კი ვჩქარობთ, მაგრამ დრო — მსაჯული არ ჩქარობს, ისტორია არაფერს ივიწყებს.

ბ) ხალხს, პიროვნებებს, რომლებიც ძველსა და ახალ პარლამენტებს ადარებენ, მხედველობაში აქვთ სხდომების ფაქტურა. იმ პარლამენტის უწინარესი დამსახურება პოლიტიკურ-იდეოლოგიური ღვაწლი გახლდათ — იზოლაციაში მყოფი, ქვეყნებთან ურთიერთობაში გაუცხოებული საქართველოსკენ მოებრუნებინათ ქვეყნების გული. იმ დროისათვის ჩვენი გარემოსამყარო აქებდა დიდ პოლიტიკოსს შევარდნაძეს, მაგრამ სრულიადაც არ აქებდა ქართველებსა და საქართველოს. ამოცანა გახლდათ, პოლიტიკურად კეთილი მზერა მობრუნებულიყო ჩვენი ხალხისაკენ.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ალიანსი, რომელშიც 11 სახელმწიფო შედის, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ჩვენს პოლიტიკურ-საერთაშორისო ურთიერთობაში გასვლისათვის. საპარლამენტო ასამბლეამ სტამბულში მუშაობა დაიწყო 1993 წლის 24-27 თებერვალს. მაგრამ ეს არსებითად ორგანიზაციულ საკითხებს ეძღვნებოდა. უფრო მნიშვნელოვანი იყო 16-19 ივნისის პირველი პლენარული სხდომა. ბოდიშის მოხდით უნდა მოვიტანო თურქეთში ჩვენი ელჩის, პროფესორ ნოდარ კომახიძის წიგნიდან ზოგიერთი ციტატა: „დიდი ინტერესი გამოიწვია ასამბლეის სხდომაზე ვახტანგ გოგუაძის გამოსვლამ, რომელიც თურქეთის ბევრ გაზეთში დაიბეჭდა და ტელევიზიითაც გადაიცა“ (მეზობელო კარისაო, თბ. 1994 წ. გვ. 134).

ეს გამოსვლა ცოტა იმპროვიზებული იყო. ჯერ გამოვიდა რუსეთის სპიკერი ხაზბულატოვი, შემდეგ რუმინეთის სპიკერი ნაკდასე, შემდეგ მე.

— ბატონებო, ჩემს წინ გამოსულმა ორატორებმა ღირსეულად შეაქეს თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარე ბატონი ჰუსამეთინ ჯინდორუქი. იგი მართლაც იმსახურებს ასეთ სიტყვებს. მოდით და მაშინ, რახან დღეს ჩვენ საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე უნდა ავირჩიოთ, ავირჩიოთ ბარემ ბატონი ჯინდორუქი, ვფიქრობ თქვენ მხარს დაუჭერთ მის კანდიდატურას, რათა ამიერიდან იგი გახდეს „სპიკერთა სპიკერი“. აი, ამ გამოთქმამ „სპიკერთა სპიკერი“ გამოიწვია დიდი გამოცოცხლება და იმ გამოსვლისადმი ინტერესი. ეს გამოთქმა მეორეგზის გავათამაშე რუსეთში, პირველი შეხვედრის ჟამს ბატონ შუმეიკოს მიმართ. როგორც კი წამომცდა (ბანკეტზე) „Спикер спикеров“ აღარ მაცადეს ფრაზის დამთავრება, სად და როდის ვთქვი ეს, პირველად, ისე აიტაცეს იგი.

შუმეიკოს ხშირად მიმართავენ ამგვარად (არაოფიციალურ სიტუაციებში, ჩვენმა დელეგაციამ იმთავითვე ღირსეული ადგილი მოიპოვა თურქეთში ამ საერთაშორისო ფორუმებზე. პირველი ფაქტორი გახლდათ ბატონი შევარდნაძის ავტორიტეტი, მეორე ის, რომ აქ ქართველებს დიდ პატივსა სცემენ (თურქეთის მეჯლისში 11 ქართველი დეპუტატია) და გარდა ამისა, როგორც იტყვიან, ლობისტური მუშაობაც ურიგოდ არ ტარდებოდა. შემადგენლობა ჩვენი დელეგაციისა ასეთი გახლდათ: სპიკერი, ბატონები: გივი ლომინაძე, ზურაბ ანდრიაძე, მალხაზ ბარამიძე, გიორგი გაჩეჩილაძე. გივი ლომინაძის სახელმწიფო მინისტრად დანიშვნის შემდეგ იგი შეცვალა ქართლოს ღარიბაშვილმა. ჩვენს დეპუტატებს ღირსეული პოსტები ეკავათ ამ ასამბლეის კომისიებში. ბატონი ზურაბ ანდრიაძე კი ორი წლის განმავლობაში გახლდათ ამ ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი. ზოგჯერ, როცა მას სხდომა მიჰყავდა, ჩანდა იგი ღირსეულად. საზოგადოდ, ქართველები საზღვარგარეთ უკეთ ჩანან.

აფხაზეთის ომის გამო რა არ იწერებოდა ჩვენზე საზღვარგარეთ, მათ შორის თურქეთში. ამ ასამბლეაში ჩვენმა დელეგაციამ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ტრიბუნა დაიკავა, ბევრი საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებები დიდ დაფინანსებას იღებდნენ ჩვენს წინააღმდეგ გაწეული პროპაგანდისათვის. ბევრს ჩაეყარა წყალში ასეთი ხარჯი. ამ ტრიბუნამ თავისთავად უზრუნველყო მრავალი სწორი ინფორმაციის გასვლა საერთაშორისო არხებით. რაც შეეხება თურქეთის ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან ურთიერთობას, უაღრესად სასიამოვნო, ყოველთვის მაღალი გაგებით მთავრდებოდა. საერთაშორისო ურთიერთობებში საჭიროა სიზუსტე, წინდახედულება, შენი ქვეყნის ინტერესების შორეულ პერსპექტივაში ყოველწამიერი ხილვა. ახლა ბოდიშს მოვიხდი, თუ ვრცელ ამონაწერს შემოგთავაზებთ ბატონი ნოდარ კომახიძის დასახელებული წიგნიდან. ბოდიშს იმიტომ, რომ ცოტა ჩემს ნამუშევარზეც არის ლაპარაკი და რამდენადმე, ჩემის მხრივ ეს უხერხულობასთან არის დაკავშირებული — „საქართველოს პარლამენტის სპიკერს შეხვედრები ჰქონდა თურქეთში გამომავალი ქართული ჟურნალის „ჩვენებურის“, სტამბოლში მოქმედი ქართული კათოლიკური ეკლესიის (დაარსებულია 1861 წ. ახალციხელი პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ, ამჟამად საეკლესიო გამგეობის თავმჯდომარეა ცნობილი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ზაზაძე, პავლე ზაზაძის ვაჟიშვილი) ცნობილი „წმინდა მამათა სავანის“ წარმომადგენლებთან, ქართული და აფხაზური სათვისტომოების ხელმძღვანელებთან (ოსმან ნური მერჯანი — ოთარ იმედაშვილი, ეროლ კილიჩი — კუტალია), თურქეთში მცხოვრებ წარმოშობით ქართველ ბიზნესმენებთან. გაიმართა საქმიანი შეხვედრები რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, რუმინეთის დელეგაციებთან.

საქართველოს დელეგაცია შეხვდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს, რომელიც სპეციალურად ჩამოფრინდა ანკარიდან სტამბოლში, თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარეს ჰუსამეთინ ჯინდორუქს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰიქმეთ ჩეთინს. გაიმართა საუბრები ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, რომლის ძირითადი აზრი იყო თანამშრომლობის, კეთილმეზობლობის, საშინაო საქმეში ჩაურევლობის პოლიტიკური მხარდაჭერა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიების დაცვა. თურქეთის პრემიერთან სტამბოლის იეშილ-ჭიოის

გაგრძელება მე-4 გვ.

ვახტანგ გოგუაძე: ეს პარლამენტი არ ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით

მე-3 გვერდიდან

ათათურქის სახელობის აეროპორტის სამთავრობო რეზიდენციაში შეხვედრისას (ეს ყოფილი ბიზანტიური სან-სტეფანოა ძველი კონსტანტინეპოლის მახლობლად, სადაც ცნობილი ზავი დაიდო რუსეთსა და თურქეთს შორის) ვ.გოგუაძემ მადლობა მოახსენა ს.დემირელს საერთაშორისო ასპარეზზე თანადგომის და ქართველ-აფხაზთა კონფლიქტში წინდახედული პოზიციის გამო. ამასთან ერთად, მან განუცხადა ს.დემირელს, რომ აფხაზეთში სეპარატისტთა მხარეზე იბრძვიან თურქეთის აფხაზური წარმოშობის შეიარაღებული, მტრული იდეოლოგიით გონებამოწამლული და ტვინარეული მოქალაქეებიც. ე.შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ ეს ხდება თურქეთის მთავრობის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, რომელიც ზოგ შემთხვევაში, ალბათ, არც კი ფლობს სრულ ინფორმაციას ამის შესახებ.

— ჩვენი იმიტომ გვინდა ამ საშინაო კონფლიქტის, საკუთრივ ქართველებისა და აფხაზების ხელით, მშვიდობიანი გზით მოგვარება, რომ იგი არ გადაიზარდოს დაპირისპირებად თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა. ს.დემირელი დაეთანხმა ვ.გოგუაძეს და დიდი შეშფოთება გამოთქვა ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ თურქეთის ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს, რათა ე.წ. „აფხაზი მოხალისეები" აღარ მიემართებოდნენ თურქეთიდან, რუსეთის გავლით, საქართველოში საომრად.

ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს პარლამენტებს შორის. პირადად ბატონ ჯინდორუქთან, გასვლითი სპარლამენტთაშორისო კომისიის თბილისში ჩატარების ინიციატივას მხარი დაუჭირა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და კომისიასთან ერთად მოვიწვიეთ ბატონი ჯინდორუქი. შარშანწინდელი ეს შეხვედრები ბევრს კარგად ახსოვს. მე ვახლდი ბ-ნ ჯინდორუქს თბილისის ერთ-ერთ თურქრულ სკოლაში, თურქულ კოლეჯში (მაშინ და არც შემდეგ, ჩემთვის თურქული უნივერსიტეტის შესახებ არავის არაფერი უთქვამს. უნივერსიტეტის ფენომენი სულ სხვაა, ეს ნამდვილად არ შეიძლება). ბატონ ჯინდორუქს ვახლდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მას ძალიან თბილად შეხვდნენ და საპატიო დოქტორის წოდებაც მიანიჭეს. იგი მოიხიბლა ჩვენი სტუმარ-მასპინძლობით. როცა თბილისს ვათვალიერებდით, მან გამოხატა თავისი პატივისცემა ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, კულტურის კერებისადმი. სარწმუნოებრივი ურთიერთპატივისცემა არის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის უფაქიზესი და ურთულესი თემა.

უნდა გითხრათ, რომ ამ თემაზე 1990 წლის 17-18 დეკემბერს, მოსკოვში, ჩვენი უნივერსიტეტის ყოფილმა იორდანელმა სტუდენტებმა მუსტაფამ და მოჰამედმა მიგვიწვიეს იორდანულ რესტორანში (აქ ვიყავით უნივერსიტეტის პროორექტორი ნოდარ კეკელიძე, დავით ბაადოვი, ზურაბ ჟვანია („არამწვანე") და მე. მუსტაფა ჰყვება ასეთ ამბავს: ამას წინათ ბაზარში ვიყავით. ხორცი უნდა ვიყიდოთ. გამყიდველს ვეკითხებით, რომელი სარწმუნოებისა ხართ. მპასუხობს — მე არ მწამს ღმერთი. ცხადია, მისგან არ ვიყიდეთ. მივედით მეორესთან, იმანაც ისე გვითხრა. შემდეგ ერთმა გვითხრა, მე ქრისტიანი ვარო — იმისაგან ვიყიდეთ, შემდეგ ებრაელი ვარო, იმისაგან ყველი ვიყიდეთ... თუ კაცს ღმერთი სწამს, იმას ვენდობი, ურწმუნო კაცს კი არა, — თქვეს ეს ალლაჰის რწმენის წარმომადგენლებმა. ეს, მე, ცხოვრებაში არ მაგიწყდება. მე განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებს აზერბაიჯანელ მეგობრებთან, მის ვიცე-სპიკერთან იაშარ ალიევთან. ჩვენ ყველა შეხვედრების ჟამს, როგორც კი საკუთარ პუროობას მოვაწყობდით, უერთმანეთოდ პურს არ გავტეხდით. აზერბაიჯანელებთან ჩვენ ცხოვრების წესითაც ახლოს ვართ. აზერბაიჯანელმა მეგობრობაში სიტყვა მოგცა, იცოცხლე, იმედი გქონდეს, პატივისცემა და პატივისცემა ერთმანეთის რჯულისადმი.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორია არაორდინალური, არასაოქმო, არასტანდარტული ანუ ადამიანური ეპიზოდები პოლიტიკაში. ეს ელემენტი პოლიტიკაში მაგონებს თვითმფრინავის დაჯდომას, ისეთი სიზუსტეა საჭირო. არაჩვეულებრივი ბედნიერებაა, თუ სიტუაციის მიხედვით აღმოცენებული იუმორი მოგეშველა. ზოგიერთი დიპლომატ-პოლემიკოსი იზეპირებს ან სესხულობს იუმორს. ამისთანა იუმორზე ხათრით გაიცინებენ, მაგრამ არ ღირს გრიშად. ამ მხრივ, ერთი იშვიათი სიზუსტით და ძალაუტანებლობით, გამოირჩეოდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის იუმორი, რაც ყოველთვის სიტუაციის კონკრეტულობასთან იყო დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში ასე იყო, ახლა არ ვიცი არის თუ არა იუმორის გუნებაზე. მე ვიცი, რომ ის ჩემს ნაწერებს საგანგებოდ არ კითხულობს, მაგრამ არც მე ვწერ მის წასაკითხად.

როდესაც პირველად შევხვდი ბატონ დემირელს, როგორც პრემიერ-მინტრს, დასახელებულ აეროპორტში, იგი ძალიან დაღლილი იყო. მომიბოდიშა და მითხრა, დღეს ბევრი შეხვედრა მქონდა ხალხთან, ბევრი ღონისძიება ჩავატარეთ და ტანსაცმლის გამოცვლაც ვერ მოვასწარი. მიმითითა ფეხსაცმლის წვერზე, ოდნავ დამტვერიანებული იყო და თქვა — ფეხსაცმელზე ტალახიც კი მაქვსო. მეც მივანიშნე მის ფეხსაცმელზე და ვუთხარი — თქვენო აღმატებულებავ, ეს მტვერი ნიშანია იმისა, თუ რაოდენ ახლოს ხართ თქვენ თქვენს მშობლიურ მიწასთან, თქვენს მშობელ ხალხთან, სწორედ ამით მაგონებთ თქვენ ბატონ შევარდნაძეს. ბატონმა ნოდარ კოკახიძემ სატელევიზიო ინტერვიუშიც აღნიშნა, ეპიზოდი ასეთი — ლოგიურ ეფექტზე. მე მასთან სამლოცველოში არაფერი მქონია, [illegible] პლიმენტი ვუთხარი და ვუთხარი თუ არა, კაცი საოცრად გამოცოცხლდა და მიმართა თავის სამსახურს — შემოვიდნენ ჟურნალისტებიო. კარებში ერთდროულად შემოცვივდნენ ჟურნალისტები. ბატონო რედაქტორი, ეს დაკითხვები, ნება-უნებლიეთ, ვატყობ ტრაბახს დამაწყებინებს. მაგრამ მცირეოდენი ექსკურსიით ახლა პეტერბურგში გადავინაცვლოთ.

პირველად პეტერბურგის საბჭოში შეხვედრის შემდეგ დიდი ბანკეტის შესახებ უკვე გიამბეთ. მას შემდეგ, შუმეიკოს წინადადებით, სხვა ოთახში გადავინაცვლეთ ვიწრო წრემ (სულ ოცამდე კაცი ვიქნებოდით). აქ უფრო კამერული სიტუაცია იყო. სუფრაზე ქართველის დაჩაგვრა არ იქნება. იმ სიტუაციის შესახებ არას ვიტყვი, ერთის გარდა:

— ბატონო ვლადიმერ, მეგობრებო, ერთი კარგი იდეა მომივიდა და მინდა გაგიზიაროთ. იცით, რომ ოჯახში ყველაზე მეტად ეფერებიან უმცროს ძმას. თქვენ, რუსები, რატომ აღიზიანებთ ამ ხალხებს, ქვეყნებს, „უფროს ძმას" რომ გეძახიან, მოდი, ასე ვქნათ, თქვენ იყავით უმცროსი ძმა, ჩვენ ქართველები, ვიქნებით უფროსი ძმა. ეფექტის შესახებ მე არაფერს გეტყვით (ყოველ შემთხვევაში ვერ გეტყვით, რომ რუსებს იუმორის გრძნობა აკლდეთ. ეს გამონათქვამი შემდეგ კარგა ხანს მიმოდიოდა).

გაგრძელება იქნება

გაზეთი «საქართველო» — ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი (1915-1921 წ.წ.)

გაზეთი „საქართველო" ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური საპოლიტიკო-საეკონომიო და სალიტერატურო მიმართულების ორგანო იყო. მისი განახლებული გამოცემა გამოდიოდა 1915 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე. მისი რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: სანდრო შანშიაშვილი, სპირიდონ კედია და გრიგოლ ვეშაპელი. მასში სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ: რეზო გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე, შალვა ამირეჯიბი, სპ.კედია, დავით კასრაძე, ტიციან ტაბიძე, რაფიელ ინგილო, არ.ევდოშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, სიმონ ქვარიანი, შამედ-ბეგ აბაშიძე, ილია ფერაძე, გიორგი ლეონიძე, იპ. ვართაგავა, გრიგოლ რობაქიძე, ალ. ასათიანი და სხვები.

გაზეთი „საქართველო" ჟურნალ „კლდის" (1912-15 წწ) იდეოლოგიური ხაზისა და მიმართულების გამგრძელებელი იყო. თავის მოწინავეში, რომელიც ქართველი მკითხველისადმი იყო მიმართული, რედაქცია მკითხველ-საზოგადოებას აუწყებდა: „ძმაზე მომენტში ვიწყებთ გაზეთის გამოცემას. დასავლეთ ევროპა, რუსეთი და ჩვენი სამშობლოც ომის ალშია გახვეული. ბევრი რამ, რაც გუშინ კიდევ მტკიცედ და შეურევლად მიგვაჩნდა, დღეს საძირკვლიანად ინგრევა თოფზარბაზნის ზათქსა და გრიალში, ძირი ეშლება ძველის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალებს, ძველის ბეშარიტებათა იდეალებს. ახალი ცხოვრების სახე კი ჯერ გამოურკვეველია". გამომდინარე ზემოთთქმულიდან გაზეთი თვლიდა, რომ ასეთ მომენტში აუცილებელი იყო ეროვნული თავდაცვის ორგანოს შექმნა, ანუ „სადღეისო საკითხი, ეროვნული ძალების თავმოყრა და დარაზმვა". რედაქცია იმედოვნებდა, რომ მათი გაზეთი სწორედ ასეთ ორგანოდ გადაიქცეოდა.

უპირველესად მნიშვნელოვანი ელემენტი, „ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია ნაყოფიერი ეროვნული შემოქმედება, ტერიტორია გახლავთ", აღნიშნავდა იგი. გაზეთის მთელი შემდგომდროინდელი მოღვაწეობის ძირითადი საზრუნავიც სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაცვა იყო.

გაზეთის პირველ ნომერში „ს-კ-ია" (სპ.კედია) წერდა: „ჩვენის შემეცნებით ერი თვითკმარი ცნებაა, ამტომაც ერისათვის თვითგანმტკიცება მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე გონებრივი კატეგორია... ეროვნული სხეული მტკიცედ უნდა იდგეს მჭიდრო ტერიტორიაზედ, რომელიც ერთსა და იმავე დროს აკვანიც არის და საფლავიც. ერის ჩვენი მისწრაფების ლურსმანი სწორედ ამ აკვან-საფლავის დაცვაა, საქართველოს საზღვრების აღდგენაა, ხოლო საქართველო უნივერსალური მცნებაა, იგი საკერძოო როდია, არამედ საერთო. პარტიის ხალხთა სარბიელი როდია იგი, არამედ უპარტიოთა სამკვიდრებელიც. მართლმადიდებელი ქართველის როდია იგი მხოლოდ, არამედ კათოლიკე ქართველისაც, მაჰმადიან ქართველისაც. საქართველო ყოველი ქართველისაა" (გაზ. „საქართველო" 1915 წ. 24 მაისი).

იმავე ნომერში რეზო გაბაშვილი მიუთითებდა, რომ ახალი გაზეთი ჟურნალ „კლდეზე" ეფუძნებოდა. იგი გააგრძელებდა იმ გზას, რომელიც ჟურნალმა გაკვალა, მაგრამ იმ პრინციპით, რომ ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო ანუ ეცდებოდნენ თავისი წინამორბედის მიერ დასახული მიმართულებებისა და გზების გაუმჯობესებას, რომ გაზეთში განივთებას ჰპოვებდა პრაქტიკული საქმეები, რომ მასში არ იქნებოდა დიდი და პატარა მნიშვნელობის საკითხები... სამშობლოსთვის გაკეთებული სულ მცირე რამეც კი არ დაიკარგებოდა და გაზეთის ფურცლებზე ჰპოვებდა ასახვას. გარდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იდეისა, გაზეთი მთელი თავისი არსებობის მანძილზე უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთი პრობლემების წინა პლანზე წამოწევას, როგორიც იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ერის, მამულის, სარწმუნოების დაცვა, მდიდარი კულტურული წარსულის წარმოჩენა. ალებ-მიცემობისა და კერძომესაკუთრული ტენდენციების განვითარებისათვის ბრძოლა, ბანკების და სხვა საკრედიტო დაწესებულებების გამრავლება. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის გამუდმებული მუშაობა. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და მის კონტექსტში საქართველოს შემდგომ ბედზე ფიქრი, საზღვარგარეთიდან მიღებული უმდიდრესი ინფორმაციის მოპოვება და მიწოდება მკითხველისათვის და სხვა. ასეთი იყო იმ საკითხთა და პრობლემათა წრე, რომელზედაც გაზეთი წერდა.

თავისი გამოსვლიდან 5 თვის თავზე რედაქცია ერთგვარად აჯამებდა იმ მუშაობას, რაც ამ ხნის მანძილზე მას მოესწრო ერის სასიკეთოდ. კერძოდ, 1915 წლის 20 ოქტომბერს გაზეთი წერდა: „ქვეყანა ითხოვდა უფერ-უმარილო პირწმინდად გაბერილ ეროვნულ დროშას"... გაზეთის რედაქცია მკითხველებს ჰპირდებოდა მტკიცედ და გაბედულად ხელში დაიჭერდა (ხელში) ამ დროშას და თავდადებულად ემსახურებოდა ქვეყნის ეკონომიკურ გამდიდრებას კერძო საკუთრების ნიადაგზე. პრაქტიკულად, რეალურად იბრძოლებდა ფართე დემოკრატიული რეფორმებისათვის ერის საკეთილდღეოდ, საერთო ეროვნული იდეისათვის. (იხ. გაზ. „საქართველო" 1915 წ. 20 ოქტომბერი №121).

გაზეთის ერთ პატარა წერილში, რომლის სათაურია „სამი მცნება", კარგადაა გადმოცემული რედაქციის მთელი სამოქმედო პროგრამა. კერძოდ, მასში ნათქვამია: „დედაენა, ეროვნული ეკლესია და ეროვნული ტერიტორია, აი, დღევანდელი სამი მცნება ყოველი ქართველისა... ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ ეს სამი მცნება უპირველესი განძია გადმოცემული ათასწლოვანი ისტორიის მიერ, რომელიც ცეცხლით, მახვილითა და სისხლით არის დაწერილი. ქართველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს განძი ის სამი ბურჯია, რომელზედაც აღორძინდება მომავალი ძლიერი საქართველო (იხ. გაზ. „საქართველო" 1915 წ. 2 ივლისი №98).

ეროვნული თვითმყოფადობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაზეთის უპირველესი საზრუნავი იყო. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ეს საკითხი სწორედ მაშინ, როცა უკვე პირველი მსოფლიო ომის ხანძარი დანთებული იყო. ამ ომის შედეგად შესაძლებელი იყო, თუ რუსეთი კავკასიის ფრონტზე წარმატებას მიაღწევდა, საქართველოს წინათ დაკარგული, თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები დაებრუნებინა, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოიშვა ძალზე სახიფათო სიტუაცია იმის გამო, რომ სწორედ ამ ომის მიზეზით თურქებისაგან დევნილი ასი ათასობით სომეხი ქართველ მიწას დაპატრონებოდა. ეს ძალზედ აფიქრებდა ქართველ ეროვნულ მოღვაწეებს, მითუმეტეს ამის მაგალითები ისტორიაში უკვე იყო. მხედველობაში გვაქვს რუსეთ-თურქეთის ომები 1827-28 წ.წ. და 1878-79 წწ-ში, რომლის შედეგად თავისი სამკვიდრებლიდან დევნილმა სომეხმა მოსახლეობამ, რუსეთის ხელშეწყობით, დაიკავეს ქართული ტერიტორიები ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს და სხვა მაზრებში, დამკვიდრდნენ იქ და მის მერე „ურცხვად გვეცილებიან მას". ამ ერთ-ერთი მწვავე, მტკივნეული თემის გაშუქებას ცენტრალური ადგილი უკავია გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე.

საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან, იმხანად, არსებობდა სომეხთა დახმარების კომიტეტი, რო-

გაგრძელება მე-8 გვ.

დასას. დასაწ. იხ. „საქართველო“ №35

აფხაზეთის ტრაგედია მსოფლიო პოლიტიკის შედეგია, სამხედრო მარცხი კი სათავეს სწორედ გაგრიდან იღებს

დავით ხომასურიძე

პასუხი გაგრის ყოფილ გამგებელს ღია წერილზე

თქვენი ციტატა: **იმ დღეს** (ლაპარაკია 1992 წ. 3 ოქტომბერზე, როცა განთიადზე იერიში განახორციელა მტერმა დ.ხ.) **ბატონი ნოდარ ნათაძეც დაიჭრა და ორი დღე არ ვიცოდით სად იყო.**

ბ-ნო ჯონი, თქვენი მსჯელობა ყურმოკრულ ამბებს რომ ეყრდნობა, ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ ბატონი ნოდარ ნათაძე გაგრაში კი არა, გაგრის ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ სოხუმში დაიჭრა. ორი დღე კი არა, ვიდრე თბილისში არ ჩამოვიდა (7/X) არავინ იცოდა, სად იყო. ამ დროს ბატონი ნოდარი 26-ე ბატალიონის მებრძოლებთან ერთად რიგით ჯარისკაცად იბრძოდა და, ბევრისაგან განსხვავებით, შავი ვოლგით და სამოქალაქო ტანსაცმლით კი არ გადავიდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, არამედ ბატალიონთან ერთად ტყე-ტყე ბრძოლით გამოვიდა ალყიდან — შვეიულფრენებისთვის მისაწვდომ ზონამდე.

— თქვენი ციტატა: **200 ახალთახალი ავტომატი გამომიგზავნეს** (კი არ გამომიგზავნეს, მე თავად ჩამოვიტანე. დ.ხ.) **გაგრაში და დასძენთ, რომ დიდი ნაწილი მხედრიონმა წაგვართვაო. მაგრამ იმას როდი ალიარებთ, რომ ავტომატების გაყოდვა სცადეს და მოსახლეობას** (ის ავტომატები გაგრის ბატალიონზე ნაწილდებოდა და არა მოსახლეობაზე დ.ხ.) **მამასისხლის ფასად სთავაზობდნენ. ვინ? ეს თქვენ, შტაბის უფროსმა უნდა იცოდეთ ბატონო პოლკოვნიკო.**

მადლობა ღმერთს, ბატონო ჯონი, იმდენი პატიოსნება მაინც აღმოგაჩნდათ, რომ ავტომატების გაყიდვის „მცდელობა“ პირადად მე არ დამაბრალეთ და ზოგადი ფრაზით — „ავტომატების გაყიდვა სცადეს“ შემოიფარგლეთ, რადგან კარგად მიცნობთ და იცით, რომ მე ამგვარი საზიზღრობის ჩამდენი არა ვარ და რომც თქვათ, მაინც არავინ დაგიჯერებთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ არც კონკრეტულ ადრესატს ასახელებთ. ვიღაცამ რაღაცა დაიპირა და სცადა, არგუმენტი არ გახლავთ. ისე საკმაოდ ორიგინალური ხერხი მოგიფიქრებიათ გაგრის ბატალიონზე „მხედრიონის“ თავდასხმის ფაქტის გასამართლებლად. გაბრაზებული მკითხველი იტყვის, თურმე გაყიდვა ნდომებიათ და წაართმევდნენ, აბა რას ამბობ.

ბრძოლით მოგებული ტერიტორია, დაახლოებით 1,2 — 1,5 კმ, დავტოვეთ ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 3 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბუფერული ზონის შექმნის მიზნით.

თქვენი ციტატა: **ჩემთვის გასაგებია, თადარიგის პოლკოვნიკო, გენერლის მუნდირს, რომ იზმანებთ და ამაში არაფერია ცუდი, რადგან გენერლობა კარგ ჯარისკაცსაც ენატრება, მაგრამ...**

„გეხერლის მუხდირი“, ბატონო ჯონი, თქვენი ეჭვიანი ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. როდის იყო სამხედრო თადარიგში გენერლები ხდებოდნენ? მე რომ სამხედრო კარიერა მდომებოდა, სამოქალაქო ომის გამო ორჯერ თანამდებობიდან არ გადავდგებოდი და სამხედრო თადარიგში არ გავიდოდი, თქვენი ორგანიზაციის (ამ შემთხვევაში „მხედრიონი“ მყავს მხედველობაში და არა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. თქვენ ხომ ორ სკამზე ზიხართ.) წევრი გენერლებისაგან განსხვავებით. მათ ხომ სწორედ ქართველებთან ბრძოლაში მიიღეს გენერლობა, მიუხედავად იმისა, რომ ოცმეთაურთა მომზადების ელემენტარული კურსიც კი არ ჰქონდათ გავლილი.

ასე უტიფრად რომ მწამებთ ცილს, ბ-ნო ჯონი, სინდისი არ გაწუხებთ?

თქვენ ეჭვიანის ასალანტაჟეთ მოგახსენებთ: მე ნამდვილ სამხედრო სამსახურში დაბრუნებას ჯერჯერობით არ ვაპირებ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან კარგი სამოქალაქო სპეციალობა მაქვს — მე ფიზიკოსი გახლავართ და სამხედრო ფორმის ჩაცმამდე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ვიყავი. მეორეც იმიტომ, რომ ჯანმრთელობა ხელს აღარ მიწყობს და საკმაოდ სერიოზული მკურნალობა მჭირდება. მესამეც იმიტომ, რომ დღეს ომი არ არის. მშვიდობიან პერიოდში კი მე სამოქალაქო ცხოვრებას ვამჯობინებ.

თუ ომი დაიწყება, მე კვლავ სამხედრო ფორმას ჩავიცვამ, მიუხედავად ჩემი ფიზიკური მდგომარეობისა და გაწყობილებისა. და ამას არც თქვენ შეგეკითხებით, არც სხვას. ეს მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია.

თქვენი ციტატა: **მამაცხონებულო, მაშინ თუ იყავით შევარდნაძესთან ასე დაახლოებული, რა ღმერთი გაგიწყრათ დღეს, პირში წყალი რომ დაგიგუბებიათ და სიმართლის თქმისა გეშინიათ?**

ბ-ნ ე.შევარდნაძესთან მე დაახლოებული პირი არც მაშინ გახლდით და არც დღეს გახლავართ. ჩვენი შეხვედრა და საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ შედგა მისსავე სამუშაო კაბინეტში ამ ოთხი წლის წინ (რაც მე ჩემს ინტერვიუში ავღნიშნე). არა მგონია დღეს კიდევ რომ ვახსოვდე.

რაც შეეხება სიმართლის თქმას, თქვენ რომელი სიმართლის მოსმენა გსურთ, ბ-ნო ჯონი?! მე რა ფაქტებიც ვიცოდი, თითქმის ყველაფერი ვთქვი (შეიძლება უბრალოდ რაიმე აღარ მახსოვს), მაგრამ თქვენ, „მხედრიონზე“ ნათქვამი მწარე სიმართლის მოსმენა უკიდურესად გაღიზიანებთ (პირადად თქვენს შესახებ ნათქვამზე აღარაფერს ვამბობ), თქვენ მხოლოდ თქვენი პოზიციიდან დანახული სიმართლის მოსმენა გსურთ. ასეთი დამოკიდებულება ჭეშმარიტებამდე ვერ მიგიყვანთ.

ბ-ნო ჯონი, თქვენ ჩემგან ბ-ნი ე.შევარდნაძის უპირობო ლანძღვის მოსმენა გსურთ, თქვენს საკუთარ თავს ამას გმირობად უთვლით და მეც მიკიჟინებთ. მე მოდას არ მივყვები. სავსებით გეთანხმებით, როცა თქვენ აცხადებთ, რომ აფხაზეთში შესვლა წმინდა წყლის ავანტიურა იყოო. მე უფრო მეტსაც გეტყვით: განხორციელდა აფხაზეთის ეტაპობრივი ჩაბარების გეგმაც. ამ განცხადებაში არც საშიში და შემზარავია არაფერი და არც რაიმე სიახლეს გვამცნობენ ისინი. წამდაუწუმ ერთიდაიგივეს გამეორება კი ასეთ განცხადებებს მნიშვნელობას უკარგავს.

რაზედაც თქვენ საუბრობთ, ბ-ნო ჯონი, ეს ყველაფერი შედეგებია. აფხაზეთის ომის შედეგები კი მიხო პაპამაც იცის გურჯაანში და ბებია პელაგიამაც ლანჩხუთში. თუ შეგიძლიათ, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი გააკეთეთ და ყველაფერ ამას პოლიტიკური შეფასება მიეცით მომავლის პროგნოზირებით.

მე რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის (ილია ჭავჭავაძის საზოგადოების) მაძგებობის წევრი და გაგრის ყოფილი გამგებელი, გაგრის და საერთოდ აფხაზეთის ტრაგედიას სამხედრო-პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდით. იმის ნაცვლად, რომ ჭეშმარიტება ეძებოთ, თქვენ ჩემთან პირად ანგარიშსწორებას ცდილობთ. სამწუხაროდ თქვენი სტატია ძირითადად ჭორებით („ქერათმიანებისა“ და გვარდიელების შესახებ), სიზმრად ნანახი ზღაპრებით (ჩემს მაგიდაზე ჯ.იოსელიანის მუშტის ბრახუნის შესახებ), მრავალჯერადი ცილისწამებით და მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის დაკარგვის ფაქტების დაფიქსირებით შემოიფარგლება.

თქვენი სტატიიდან არც საბრძოლო მოქმედებების ანალიზი ჩანს (ამას ან კი როგორ მოახერხებდით, როცა დაზვერვა და კონტრდაზვერვა ვერ გაგირჩევიათ ერთმანეთისაგან) და არც მტრისეული ანალიზი. თქვენ ერთ-ერთ ადგილზე ამბობთ, ბ-ნ ე.შევარდნაძეს ბ-ნ ჯონი, ეს ყველაფერი ოდესაც ინარჩუნებს ზესახელმწიფოს სახეს.

იმისათვის, რომ რუსეთმა ზესახელმწიფოს სახელი დაკარგოს ან, რაც იგივეა, იმისათვის, რომ დასავლეთმა რუსეთი საბოლოოდ დაამარცხოს, აუცილებელია პროგრამამაქსიმუმის შესრულება, რაც უკვე თავად რუსეთის ფედერაციის დაშლას გულისხმობს. რა გზით შეიძლება მოხდეს რფრ-ს დაშლა? ამისათვის საჭიროა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძისსავე ფედერაციის სუბიექტებში დაიწყოს მძლავრი სეპარატისტული მოძრაობა რუსეთის ფედერაციიდან გასვლის მოთხოვნით, მაგრამ ეს ავტონომიები ცალ-ცალკე ვერაფერს გახდებოდნენ, სწორედ ამიტომ დასავლეთის სპეცსამსახურების ძალისხმევა კავკასიელ მთიელთა კონფედერაციის შექმნისაკენ იყო მიმართული, რათა ფედერაციის სუბიექტებს ერთობლივი სამხედრო— პოლიტიკური მოქმედებით შეეტანათ რუსეთისათვის და ძლავრი სამხედრო მოქმედება განეხორციელებინათ რუსეთის სიღრმისაკენ სტავროპოლისა და როსტოვის მიმართულებით.

თავის მხრივ როგორ შეხვდა რუსეთი კავკასიელ მთიელთა მოძრაობას? რუსეთი მიხვდა, რომ აშკარა დაპირისპირებით არაფერი გამოვიდოდა და თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით დაიწყო ამ გაერთიანების თავის სასარგებლოდ გამოყენება. კერძოდ, მან ამიერკავკასიისაკენ, ჩეჩნსკენ, მომართა ისინი, რათა კონფედერატებისაგან დარბეულ და აწიოკებულ საქართველოს ისევ რუსეთისაკენ მიეხედა, შველა მისთვის ეთხოვა და მისი მოკავშირე გამხდარიყო, ამასთან ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად აფხაზეთში, ფარულად, თავისი სამხედრო მოსამსახურეები და უახლესი სამხედრო ტექნიკა გამოიყენა, თუმცა მაინც ყველაფერი გამჟღავნდა, ამის თაობაზე ინფორმაცია მაშინ ტელევიზიითაც ფართოდ შუქდებოდა, მათ შორის, გადაიცა ერთი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ საქართველოს დაზვერვისა და ინფორმაციის სპეც.ხამსახურის შენობაში იყო მომზადებული (სათანადო ვიდეო მასალა არსებობს).

მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში რუსეთის უშიშროებისა და შინაგანი სამსახურების ხელშეწყობით საგანგებოდ შეიქმნა კომერციული სტრუქტურები იარაღის შესაძენად და აფხაზეთში გასაგზავნად. აქტიურად მოქმედებდნენ სავაჭრო-შემსყიდველი ფირმები: „კავკასიონი“, „ოტირბა“, „კონტინენტი“ და „აფსნი“. ამ ფირმების გამგებლობაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები იყვნენ.

ვინმე ტერეზოვმა აფხაზთა გვარდია თანამედროვე ტანკებით, ნაღმსატყორცნებით, ქვემეხებით, რეაქტიული სისტემის სხვა და სხვა შეიარაღებით სხვადასხვა დასახელებისა და დანიშნულების თვითმფრინავებით და ვერტმფრენებით შეაიარაღა.

ხსენებულ ფირმებს კოორდინაციას უწევდა რუსეთის ყოფილი ოფიცერი, იმჟამად აფხაზთა გენერალი პავლე ლეშუკი. მას შუამდგომლობას უწევდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, იმ დროისავის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-5 განყოფილების უფროსი ჩურკოვი. ჩურკოვის დახმარებით ლეშუკი რუსეთის სამხედრო წარმომებს უკავშირდებოდა. შეძეხილი სამხედრო ტვირთი შეუფერხებლად მიეწოდებოდა ადლერისა და სოჭის პორტებს, იქიდან კი ზღვით, ჰაერით, რკინიგზით, რუსეთის სასაზღვრო საკონტროლო პუნქტების გავლით, აფხაზი სეპარატისტების განკარგულებაში გადადიოდა.

სოხუმზე შეტევის წინ „უფროსმა ძმებმა“ აფხაზებს საწვავით დატვირთული 17 ცისტერნა მიაწოდეს, ამასთანავე რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლის მოადგილის, გენერალ სებუდკინის ბრძანებით გუდაუთაში ბომბორას აეროდრომზე ჩაფრინდა 450 კაციანი სპეცდანიშნულების ბატალიონი თავისი ტექნიკით: 30 საბრძოლო მანქანით, 6 სამხედრო ვერტმფრენით, უხმო ავტომატებით, 8 მობილური საზენიტო კომპლექსებით შეიარაღებული (ეს ბატალიონი ქართველმა მებრძოლებმა სოხუმის ზონაში დესანტირებისას მოსალოდნელ „ალაფად“ ჩაუთვალეს. დ.ხ.).

გუდაუთის სამხედრო სასწავლებელს ხელმძღვანელობდა ლეონიდ ივანოვი, ხელფუძარების სახელოსნოს-პოდპოლკოვნიკი მიხეილ ლოგვინოვი. აფხაზთა გვარდიის სარეზერვო პოლკის მეთაურის მოადგილე იყო პოდპოლკოვნიკი მიხეილ კულეშოვი. მესანგრეთა ჯგუფს ამზადებდა პოდპოლკოვნიკი ლეონიდ ჯულიჯიანი. აფხაზურ სპეცდანაყოფებს მეთაურობდა მესაზღვრე კაპიტანი მეჩენკოვი.

თავად არძინბა მოსკოვში რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით მიემგზავრებოდა ხოლმე. შემდეგ ჩკალოვის და შოლკოვოს აეროდრომებიდან გაძლიერებული დაცვის თანხლებით მოსკოვის უნივერსიტეტთან მიმალულ სპეცსასტუმროში ჩადიოდა, მის დაცვასაც ცხადია რუსეთის სპეცსამსახურები კისრულობდნენ.

„Су—25“ მარკის თვითმფრინავები სოხუმის საცხოვრებელ კვარტლებს რომ ბომბავდნენ, გუდაუთის, კრასნოდარისა და როსტოვის აეროდრომებზე იყვნენ განლაგებულნი.

სოხუმის მახლობლად ჩვენი მებრძოლების მიერ ჩამოგდებულ თვითმფრინავს რუსეთის საბჭოდრო მოსამსახურე მფრინავი მაიორი შიბკო მართავდა, რომელიც კრასნოდარის მახლობელ საჰაერო ბაზას ეკუთვნოდა — ს/ნ №19104.

ამ ფაქტის საბასუხოდ კი რუსეთის თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა პავლე გრაჩოვმა ტელევიზიით ასეთი განცხადება გააკეთა: **На вооружении военно—воздушных сил Грузии находится 7 самолетов “СУ–25”, которые были собраны на авиаремонтном заводе г.Тбилиси, выкрошенны в цвет вооруженных сил Росии, имеет звезду аналогичную нашим самолетам и пройзводят, как демонстрационные полеты, так и непосредственно участвуют в бомбордировках”.**

აქ უკვე კომენტარი ზედმეტია. ჩვენივე ქალაქის დაბომბვას ჩვენ გვაბრალებდა.

აფხაზეთში დაუნდობლად და მთელი სისასტიკით გვებრძოდნენ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი, ჩრდილოეთ კავკასიელთაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი რაზმები და სპეციალურად აფხაზეთის ბრძო-

გაგრძელება მე-7 გვ.

აფხაზეთი. 1993 წელი

ფრანგული პრესიდან

თანამედროვე გლადიატორები

ეს ამერიკის ბოლო სიგიჟეა: ახალი სპორტული ორთაბრძოლა, სადაც ყველაფერი დაშვებულია, გარდა ერთმანეთისთვის თვალების დათხრისა. ამ საშინელ სანახაობას არნახული წარმატება ახლავს თან.



როდესაც მარკ ჰოლის იდაყვი ცხვირში მოხვდა კოჟი კიტაოს, ისეთი ტკაცანი გაისმა, გეგონებოდათ მთელი ძალით გამოტყორცნილი ტენისის ბურთი შეეხალა ჩოგანის დაჭიმულ ბადესო. ხმა იყო ყრუ და მჭახე. ერთი წამით იაპონელი ადგილზე გაშეშდა, თვალები გადმოქაჩა და ირი ფართოდ დაალო, თითქოს რაღაცის თქმას ეპირებაო. შემდეგ თვალები დახუჭა და მოცელილივით დაეცა. ცხვირიდან თქრიალით წამოსულმა სისხლმა მთელი სახე დაუფარა. რინგის ექიმმა ძვლის მოტეხილობა დასვა დიაგნოზად.

კიტაო იაპონიიდან ჩამოვიდა დეტროიტში, რათა მონაწილეობა მიეღო ამ შეჯიბრში, როგორც ყოველი მოგზაურობის დროს ხდებოდა, მან ახლაც ორი ადგილი დაჯავშნა თვითმფრინავში: მისი სიმაღლე 2 მეტრი და 3 სანტიმეტრია, წონა კი 154 კილოგრამი. ფრენის დროს იგი იხსენებდა, რომ ერთ დროს, იაპონიის იმპერატორი ყოველ მის გამოსვლას ესწრებოდა. რამდენიმე წლის წინ კიტაო, ჭიდაობა სუმოს ვარსკვლავი, თავისი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენდა. ამ საღამოს კი, მიჩიგანის შტატში, იგი დამცირებული, მიწას დანარცხებული გიგანტი იყო და სხვა არაფერი. ერთი შეხედვით კაფანდარა კალიფორნიელმა 47 წამში მოუთავა ხელი იაპონელს. კიტაო გონს მოეგო და შეეცადა პუბლიკას ღირსეულად გამომშვიდობებოდა. ბრბო საშინელი ღრიანცელით შეეგება მოჭიდავის კეთილ განზრახვას. „პირლ-ჰარმორი, პირლ-ჰარმორი!“ (მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელებმა პირლ-ჰარმორში სასტიკი მარცხი აწვნიეს ამერიკის ფლოტს.) ისმოდა ყოველი მხრიდან.

აი, ასეთია ეს ახალი ამერიკული ორთაბრძოლა. ბევრისთვის ამ სასაკლაოდან გზა პირდაპირ საპყართა თავშესაფარში მიდის. წარმოიდგინეთ 9 მეტრიანი შემოსაზღვრული წრე, მავთულის მაღალი ღობე და საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ლამაზმანები. ამას დაურთეთ 10 ათასი გაშმაგებული მაყურებელი, ყურისწამღები მუსიკა და ორი გაცოფებული ველური, 100 კილოგრამზე მეტს რომ იწონიან და მუშტის ერთი დარტყმით სარს რომ დაასხამენ რეტს.

ახლა თვალები დახუჭეთ და ორთაბრძოლის წესებს მოუსმინეთ: „აკრძალულია თვალების დათხრა ან ამოგლეჯა, კბენა, პირში თითების ჩაჩრა და ყელში დარტყმა“. ამის გარდა, რაც გინდა ის ქენი, როგორც მოგეხასიათება, ისე გაუსწორდი მეტოქეს. ჭიდაობის დროს შეგიძლია იხმარო ხელიც, ფეხიც და თავიც. ყველაფერი უნდა იღონო და ყველა ხერხი უნდა იხმარო, რომ მეტოქეს კბილები ჩაუმტვრიო, წარბი გაუხეთქო ან ცხვირი გაუპო. მახრჩობელა ილეთები და მკლავების გადამტვრევაც დაშვებულია.

არც რაუნდია, არც შესვენება და გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც ფეხზე დარჩება ოცწუთიანი შერკინების ბოლოს. ხშირად დროს არც კი უყურებენ. მთავარია რომელიმე მეტოქეს სისხლი წამოუვიდეს. ყოველი ბრძოლის შემდეგ, მსუქანუქად ჩაცმული ქალიშვილი ნაზი მიხვრა-მოხვრით სველ ტილოს უსვამს იატაკს. ლამაზი სანახაობაა! ორთაბრძოლის ორგანიზატორები ხშირად იმეორებენ, რომ პაექრობის დაწყებამდე მეტოქენი ერთობ სერიოზულ სამედიცინო შემოწმებას გადიან. იმასაც აღნიშნავენ, რომ ტრავმირებული მოჭიდავის დასახმარებლად, მუდამ მზად არის ორი ექიმი. ერთი ნევროლოგი და რეანიმაციისათვის აუცილებელი დანადგარებით აღჭურვილი ორი სასწრაფო დახმარების მანქანა. ახლა, მოდით და ვიკითხოთ, რომელი ან როგორი მოჭიდავე თანხმდება ასეთ პირობებში ასპარეზზე გასვლას? სპორტსმენთა შორის ვის არ შეხვდებით! სამსახურიდან დათხოვნილი საზღვაო ქვეითი ჯარის რიგითებს, საბჭოთა არმიის ყოფილ მოსამსახურეებს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონებს, „ჩამოწერილ“ მოკრივეებს, ჭუჩის მოჩხუბრებს და ახალგაზრდა ყოყლოჩინებს, რომლითაც საკუთარ უბანში „ყოჩის“ სახელის დაგდება სურთ. აქა-იქ „ბნელ“ ტიპებსაც გადაეყრებით. „უმთავრესი, რაც მიზიდავს, ის არის, რომ რინგზე საშუალება გაქვს გაუსწორდე შენს მოწინააღმდეგეს და ამაზე პასუხი არ აგო“ — გვიხსნის ერთი ასეთი „სპორტსმენი“, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ არაყს პიდაპირ ბოთლიდან სვამს და ერთხელ, რომელიღაც ბარში შეხლა-შემოხლისას ყური წააჭამა მეტოქეს. „ქალი, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ მე ჩხუბი უფრო მიყვარს“ — იმეორებს იგი.

ბობ მეიროვიჩი კი ფულს ყველაფერზე წინ აყენებს. სწორედ მან მოიგონა სპორტის ეს სახეობა, მისი წესები, რიტუალი, კოდექსი და ბარბაროსობა — დასაწყისში იგი როკ-კონცერტებს მართავდა. ახლა, მუსიკალურ საქმიანობას სპორტულიც მიუერთა და უკვე მეცხრე შეჯიბრს ამზადებს, თანაც



დიდი წარმატებით: 300000 გაყიდული აბონემენტი და მილიონი ტელემაყურებელი. ერთი საღამოს შემოსავალი ექვს მილიონ დოლარს აღწევს. ამას დაუმატეთ ვიდეოკასეტები და საფირმო მაისურები. ბილეთების ფასი 15-დან 350 დოლარამდეა. ბევრმა ქალაქმა მოისურვა აეკრძალა ჭიდაობა, მაგრამ მეიროვიჩის მორჯულება არც თუ ისე ადვილი საქმეა.

ერთ საღამოს, ქალაქში, რომლის მოსამართლემ ზედმეტად გამოიდო თავი, მეიროვიჩი ბრძოლებს შორის რინგზე ავიდა და 1000 დოლარის ჩეკი გადასცა სპეციალურად ამისთვის შერჩეულ 10 შავკანიან მოწაფეს, მაშინ როცა „ბიკინში“ გამოწყობილი ქალიშვილი, ჩერით, სისხლის ლაქებს აცილებდა. [illegible] ტაკლს, ვდგამთ [illegible] ბრძოლებში [illegible] მონაწილეობენ. ბრძოლა შეუპოვარია, გეთანხმებით, მაგრამ იმარჯვებს ძლიერი. რა თქმა უნდა, ზოგჯერ რაღაც უბედურებაც ხდება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაყურებელსაც ეს იზიდავს“. ბრძოლაში 7 წყვილი მონაწილეობს, გამარჯვებული 50000 დოლარს იღებს, წაგებული ამ თანხის ნახევარს. მე ერთი საღამო მახსენდება. რინგის ახლოს ვიჯექი და კარგად მესმოდა დამსხვრეულ-დალეწილი ძვლების ტკაცანი, მებრძოლთა გმინვა და მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ დიდ ეკრანზე ვხედავდი როგორ იღვრებოდა სისხლი. ჩემს გვერდით მჯომი მაყურებელი მშვიდი და თავაზიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მაგრამ ბრძოლა დაიწყო თუ არა, სამი მცველი მივარდა ჩემს მეზობელს და წამსვე გაბორკეს. ჭიდაობის გულშემატკივარს პერანგის ქვეშ 30 სანტიმეტრის მახვილპირიანი დანა აღმოაჩნდა. რა ჯურის ხალხი არ იყრის თავს ტრიბუნებზე! ყველანი რაღაცით ერთმანეთს ჩამოგავენ, ერთნაირად აცვიათ და ერთნაირად განიცდიან ბრძოლის პერიპეტიებს. ქალები წივიან, მუშტებს იქნევენ და რინგისკენ იწევენ, რომ ხელით შეეხონ საყვარელ კერპს.

სასტუმროში დაბრუნებულს კიდევ დიდხანს მედგა თვალწინ ქალიშვილი, რომელიც სისხლს წმენდდა რინგზე, მეიროვიჩი, რომელმაც თავის ოთახში გამოკეტილი, სხვის მიერ დაღვრილი სისხლის ფასად ნაშოვნ დოლარების დასტას სეიფში კეტავდა, კოლ ფორსპემი, რომელიც ყოველი ბრძოლის დაწყების წინ ღმერთს შესთხოვს მისცეს „ძალა და შეძლება, რათა კისერი მოუგრიხოს მოწინააღმდეგეს“, რაფაელ კარინო, რომელიც იმაზე ოცნებობს, რომ „აუცილებლად მოჭკლას მეტოქე“ და კიმო ლეოპოლდო, რომლის დაკუნთულ მუცელს შესანიშნავი სვირინგი ამშვენებს. ეჰ, ვინ მოთვლის, რამდენი პირდაპირი დარტყმა იგემა ლეოპოლდომ სწორედ მუცელში, უფრო ზუსტად კი იმ ადგილას, სადაც დიდი ლურჯი ასოებითაა ამოტვიფრული „იესო“.

ჟან-პოლ დიუბუა
(„ნუველ ობსერვატორი“)
ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

აფხაზეთის ტრაგედია მსოფლიო პოლიტიკის შედეგია, სამხედრო მარცხი კი სათავეს სწორედ გაგრიდან იღებს

დავით ხომასურიძე

პასუხი გაგრის ყოფილ გამგებელს ღია წერილზე

მე-5 გვერდიდან

ლებისათვის შექმნილი ჩეჩნური ბატალიონი შამილ ბასაევის მეთაურობით.

რუსეთმა თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით კონფედერატები ჩვენ მოგვისია (აფხაზთსა და სამეგრელოში ისინი მთელი სისასტიკით გვებრძოდნენ) და ამით ეცადა ორი კურდღელი დაეჭირა: პირველი — თავიდან აიცილა (საწყის ეტაპზე რასაკვირველია. მოგვიანებით ნაკლები არც თვითონ დაემართა) კავკასიელ მთიელთა კონფედერატების იერიშები რუსეთის სიღრმისაკენ და მეორე — დააჩოქა საქართველო., იმისათვის, რომ საქართველო წელში გაეწყვიტა. აფხაზეთის დაცემის შემდეგ საბრძოლო მოქმედებები ჯერ სამეგრელოში, შემდეგ კი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში გადმოიტანა. აფხაზეთის დაკარგვითა და მთელ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ომის მუქარით (ამ ომში გადამთიელებიცა და თავად რუსებიც მთელი სისასტიკით გვებრძოდნენ) აიძულა საქართველო დსთ-ს წესდებისათვის მოეწერა ხელი.

ახლა კვლავ დასავლეთსა და მის სპეცსამსახურებს დავუბრუნდეთ. როგორც უკვე აღვნიშნე, კავკასიელ მთიელთა კონფედერაცია დასავლეთის პროგრამაში იჯდა, მაგრამ ეს კავშირი რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ ძლიერი რომ ყოფილიყო, მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა ზღვაზე გასასვლელი, რათა გარე სამყაროს ორგანულად დაჰკავშირებოდა. ამისათვის კი აფხაზეთი აღნიშნული კონფედერაციის სუბიექტი უნდა ყოფილიყო. ასე რომ, სავარაუდოა აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის გეგმა (რასაკვირველია დროებით. თუ რატომ — ამაზე ქვემოთ), როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის პროგრამებში იჯდა. ამ ფაქტორის გათამაშებას ორივე მხარე თავის სასარგებლოდ ცდილობდა. შესაძლოა სწორედ ამიტომ იყო, რომ 3 სექტემბრის ხელშეკრულების დადების შემდეგ სოხუმის ფრონტზე შეიქმნა მხარეთა დაშორიშორების ბუფერული ზონა და იქ გაეროს დამკვირვებლები ჩადგნენ. სოხუმის ფრონტზე ჯერჯერობით საომარი სიტუაციის დაკონსერვება სჯირდებოდათ. გაგრის ფრონტზე კი მართალია ბუფერული ზონა შეიქმნა, მაგრამ იქ გაეროს დამკვირვებლები არ ჩადგნენ. ეს იყო პირველი სიგნალი იმისა, რომ დასავლეთმა აფხაზეთის საქართველოდან დროებით მოწყვეტის გეგმას მწვანე შუქი აუნთო. მოხდა აფხაზეთის ეტაპობრივი ჩაბარება: დაეცა ჯერ გაგრა და გაგრის ზონა, რითაც ფაქტიურად სეპარატისტებმა გზა გახსნეს გუდაუთიდან რფრ-ს საზღვრებისაკენ, რასაც ამ ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა; შემდეგ სოხუმი და სოხუმის ზონა და ბოლოს ოჩამჩირე და გალი.

ჩემის ვარაუდით, რუსეთისა და დასავლეთის პროგრამებმა აფხაზეთში ერთმანეთი გადაკვეთეს და ჩვენ ისე მოგვვიდა, აქლემებს შორის კოზაკი — რომ გაიჭყლიტა. სწორედ ამიტომ იყო, რომ დასავლეთის დახმარება ჩვენს მიმართ მხოლოდ რეზოლუციებითა და მიმართვებით შემოიფარგლა.

ახლა განვიხილოთ თუ რა შედეგი მოჰყვა აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტას და როგორ შეიძლება მომავალში განვითარდეს პროცესები.

აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტისთანავე რუსეთის პროგრამასთან შედარებით აშკარა უპირატესობა მიიღო დასავლეთის პროგრამამ და ძალიან სწრაფად ამუშავდა. შეიარაღებულმა სეპარატიზმმა მიმართულება 180 გრადუსით შეიცვალა და რუსეთის ფედერაციისაკენ დაიძრა. დაიწყო დაუნდობელი და სასტიკი ომი უკვე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩეჩნეთში. გავიხსენოთ, როგორ განვითარდა მოვლენები. თავიდან რუსეთმა იქაც მუხანათურ გეგმას მიმართა და ჩეჩნეთი სამოქალაქო ომის ცეცხლმა

აფხაზეთი 1993 წ.

მოიცვა. რუსეთი ეცადა ჩეჩნების თავისავე ხელით დამარცხებას, მაგრამ იქ თავად რუსეთის სცენარმა განიცადა მარცხი, რადგან დუდაევს მხარს უჭერდნენ როგორც ჩრდილო კავკასიელები ისე ცივილიზებული დასავლეთი. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებებით და რეზოლუციებით დასავლეთი აღიარებდა და აღიარებს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ამასთანავე თითს უქნევდნენ რუსეთს ჩეჩენთა გენოციდის გამო. სამოქალაქო ომში დუდაევმა სასტიკად დაამარცხა მოღალატენი. ამის შემდეგ, რუსეთი იძულებული გახდა ნიღაბი ჩამოეხსნა და პირდაპირ ღიად ჩართო ბრძოლაში თავისი სამხედრო მანქანა. გამოიყენა უახლესი სამხედრო ტექნიკა და განსაკუთრებული დანიშნულების სამხედრო დანაყოფები, მიუხედავად ამისა, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. აქვე გავიხსენოთ ისიც, რომ თუ სულ ცოტა ხნის წინათ, ჩეჩნები იბრძოდნენ აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ, ახლა უკვე აფხაზებმა გაუწოდეს დახმარების ხელი ჩეჩნებს და ჩეჩნეთში რუსების წინააღმდეგ აფხაზებმაც დაიწყეს ბრძოლა.

ჩეჩნეთი დღესაც უდიდეს მხარდაჭერას ღებულობს მატერიალურადაც და ფინანსურადაც გარე სამყაროდან, როგორც ცივილიზებული დასავლეთის მხრიდან, ისე მთელი მუსულმანური სამყაროდან. ორგანული კავშირი ჩეჩნეთსა და გარე სამყაროს შორის ხორციელდება, როგორც შავი ზღვით, სწორედ აფხაზეთის მეშვეობით (სავარაუდოა, რომ ხმელეთით მუშაობდა და მუშაობს სწორედ ის ახუკ-დარას უღელტეხილი, რომელიც აფხაზეთს ჩრდილოეთ კავკასიასთან აერთებს,ხოლო ჰაერით — შვეულმფრენების მეშვეობით, ვფიქრობ, რომ მიმოსვლა ფაქტიურად შეუზღუდავია.), ისე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ ომი მხოლოდ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ამ ომში თითქმის მთლიანად არის ჩართული ჩრდილოეთ კავკასია (ოსების გამოკლებით), აფხაზეთი და გარე მუსულმანური სამყარო. არა პირდაპირი გზით, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ჩეჩნეთს ეხმარება დასავლეთიც. ჩეჩნეთი იბრძვის უახლესი სამხედრო ტექნიკით და ამ ომში იყენებს თვით კოსმოსურ რადიოკავშირებსაც კი.

ჩეჩნეთში ომი გაგრძელდება მანამდე, სანამ რუსეთის ისედაც დაუძლურებული ეკონომიკა საბოლოო კრახს არ განიცდის, ეკონომიკური კრახი თავის თავად გამოიწვევს სამხედრო კრახს, რაც რუსეთის ფედერაციის დაშლის მომსწავებელი იქნება. ეს ომი გაგრძელდება მანამდე, სანამ რუსეთის ფედერაცია რღვევას არ დაიწყებს და სანამ საბოლოოდ არ დაიშლება.

როგორ სურათს მივიღებთ რუსეთის ფედერაციის დაშლის შემდეგ? როგორც კი რფრ დაიშლება, დასავლეთი შეუდგება კავკასიაში ახალი სახელმწიფოს დაარსების ხელშეწყობას. მთელს ამიერ და იმიერ კავკასიაში ყველაზე საუკეთესო გეო-პოლიტიკური მდებარეობა საქართველოს გააჩნია, ამიტომ რუსეთის იმპერიის საბოლოოდ დაშლისა და დაცემის შემდეგ ჰეგემონური უპირატესობა კავკასიაში საქართველოს ენიჭება.

დასავლეთის ძალისხმევა ახალი კავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნისაკენ წარიმართება და ამ შემთხვევაშიც კვლავ საქართველოს ენიჭება უპირატესობა, რადგანაც, თუ სულ ცოტა ხნის წინათ დასავლეთი კავკასიელ მთიელთა კონფედერაციაზე ზრუნავდა და მას რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა, რუსეთის დაცემის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი მუსულმანური სახელმწიფოს შექმნას არ დაუშვებს. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა ქრისტიანული საქართველოს მხარეზეა. აქედან გამომდინარე, ჩემი ვარაუდით, ჩამოყალიბდება აბორიგენული და მონათესავე კავკასიური ტომებისაგან შემდგარი ფედერაციული სახელმწიფო ცენტრით თბილისში. ჩვენს შორის შერიგება ძალიან მალე მოხდება (არა აფხაზებთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიელებთან), ეს პროცესი ფაქტიურად უკვე დაწყებულია. ჩრდილოეთ კავკასიელები მიხვდნენ რომ შეცდომა დაუშვეს და ჩვენს მიმართ (ეს უკვე დღესაც შეინიშნება) ნელ-ნელა კეთილმეზობლური და კეთილმეგობრული განწყობილება იქმნება.

თავის მხრივ, კავკასიის ახალი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა (რაც ჩემი ვარაუდით ამ საუკუნის მიწურულს განხორციელდება) მთლად უმტკივნეულოდ არ წარიმართება. ამ ისტორიული კატაკლიზმების დროს სამი ერი, ოსები, აფხაზები და სომხები შეიძლება ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დადგნენ.

ჩრდილო ოსეთის მიმართ საკმაოდ სერიოზული ტერიტორიული პრეტენზიები აქვს ინგუშეთს, ამიტომ როგორც კი რუსეთის ფედერაცია დაიშლება, მათ შორის შეიარაღებული დაპირისპირება გარდაუვალია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ოსები კავკასიური ეთნიკური შემადგენლობის ჯგუფს არ ეკუთვნიან და მათ აქ მონათესავე ტომი არა ჰყავთ, ხოლო ინგუშები აბორიგენები არიან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგუშებთან ომი ოსებისათვის მთელს ჩრდილოეთ კავკასიასთან ომს ნიშნავს, თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მათ არც საქართველოსთან აქვთ კარგი დამოკიდებულება ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში შეიძლება ჩავარდეს ეს ხალხი.

რაც შეეხება აფხაზეთს, რუსეთის ფედერაციის დაშლისთანავე (შეიძლება ცოტა უფრო ადრეც) იგი კვლავ საქართველოს ორბიტას დაუბრუნდება და არც ეს პროცესი იქნება უმტკივნეულო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს აფხაზეთში შესვლას გარეგნულად შეიძლება მშვიდობიანი სახე ჰქონდეს, ეს მაინც აფხაზთათვის ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდება, რადგან მათ თავიანთი მოქმედებით ფაქტიურად შერიგებისაკენ ყველა გზა მოიჭრეს. სამასი ათასი ქართველი დევნილის აფხაზეთში დაბრუნება და წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლა, რაც აუცილებლად შეიარაღებული გზით განხორციელდება ავტომატურად, გამოიწვევს აფხაზ სამხედრო-პოლიტიკურ დამხაშავეთა დასჯას. ისედაც მინიმუმამდე დასული აფხაზი ერისთვის ეს მძიმე დანაკლისი იქნება.

მეტად მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ სომხებიც. რადგან რუსეთის სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ისინი ფაქტიურად პირისპირ აღმოჩნდებიან აზერბაიჯანის, თურქეთის და ირანის წინააღმდეგ. გარე სამყაროსთან კავშირი მათ მხოლოდ საქართველოზე გავლით რჩებათ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველო მკაცრ ნეიტრალიტეტს იცავს სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მიმართ, და თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ სომხებმა ფაქტიურად გამოუცხადებელი ომი აწარმოეს ჩვენს მიმართ აფხაზეთში (მხედველობაში მაქვს ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი), მათ არც საქართველოს იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ, რაც ჩვენს დღევანდელ საშინაო პოლიტიკას ეხება, კერძოდ მხედველობაში მაქვს საქართველოს სამხარეო მოწყობა. სამხარეო მოწყობა საქართველოს სახელმწიფო ფედერაციული მოწყობის წინა პირობაა.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს ფედერაციულ პრინციპზე მოწყობას ლამობს და დასავლეთის ძალისხმევაც აქეთკენ არის მიმართული. ამით მზადდება ნიადაგი კავკასიის მომავალი ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენთვის, ერთის მხრივ თუ მომგებიანია ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და თუ ეს მთელს კავკასიაში (ჩემის აზრით არა მარტო კავკასიაში) საკმაოდ დიდ უპირატესობას გვანიჭებს მეორეს მხრივ, საქართველოს ფედერაციული წყობით ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიებს ფაქტიურად ჩვენს თანაბარ და ტოლფასად ... დავაქცევთ, რაც საქართველოს სუვერენიტეტს უკეთილი ... ახლა ... ... დავუბრუნდეთ ბ-ნო ჯონი.

თქვენი ციტატა: **რატომ არ ამბობთ, რომ აფხაზეთში ჯარის შეყვანა წმინდა წყლის ავანტურა იყო?! რაო, შევარდნაძემ არ იცოდა, რაც მოყვებოდა ამ უგუნურ ნაბიჯს?! თუ შეიყვანა ჯარი ეშერასთან რატომ გააჩერა? ეს ხომ დაღუპვის ტოლფასი იყო და ასეც ხომ მოხდა. ამაზე რატომ დუმს თადარიგის პოლკოვნიკი ხომასურიძე?**

თუ კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთი რომანის გმირის „ცბიერი დიპლომატის“ გამოთქმის „ლომს, გინდ ცალთვალას, ვინ აკადრებს ელამი ხარო“ ერთგული ხართ და სიმართლის პირში თქმას ერიდებით?! (თქვენ ხომ აკადრეთ „სწორუპოვარო, გმირო, რაინდო!“... ისტორიას „სამაგალითოდ“ ესეც ეყოფა...დ.ხ.) „ცალთვალა ლომი“ ახლა საქართველოს პრეზიდენტია... და ვინ ვინ, მაგრამ შევარდნაძე, რომელი ცანცარა პოლიტიკანი იყო, კრემლში მომზადებული სცენარის მიხედვით გათამაშებული აფხაზეთის ტრაგედიის ფინალი არ სცოდნოდა?!“

ბ-ნო ჯონი, მე ჩემი მოსაზრება აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მიზეზებისა და საბოლოო ფინალის გათვალისწინებით. რაც შეეხება თქვენს კითხვებს — აფხაზეთში ჯარის შეყვანის, ეშერასთან შეჩერების და ა.შ. შესახებ, ჩემის აზრით, ეს ყველაფერი იმ პროგრამების პრაქტიკულად განხორციელების ტექნიკური მხარე იყო, რაზედაც უკვე ვისაუბრე. მსოფლიო პოლიტიკამ აფხაზეთში ტრაგედია გამოიწვია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

თქვენი ციტატა: ახლა ისღა დაგრჩენიათ, ბატონ ედუარდსაც დასწამოთ ალიანსი „მხედრიონთან“. მით უფრო, თუ მეხსიერება არ გღალატობთ, იმ დროს ბატონ ედუარდს არა ერთხელ უთქვამს: „მეც მხედრიონელი ვარო“.

არა, ბ-ნ ე.შევარდნაძეს მხედრიონთან ალიანსს ვერ დავწამებ. მათი კავშირი ბევრად უფრო მჭიდრო იყო. საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე „მხედრიონი“ ბ-ნი ე.შევარდნაძის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ როცა ამბობდა „მეც მხედრიონელი ვარო“, არა მგონია ამას დიდი სიყვარულით აცხადებდა. იგი მხედრიონს უპირველეს ყოვლისა ბ-ნ ზ.გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ იყენებდა, რადგან ყველაზე უფრო აგრესიული მათ წინააღმდეგ სწორედ „მხედრიონი“ იყო. მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომის პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნა და თავად პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც დაიღუპა, „მხედრიონმა“ ფუნქცია დაჰკარგა. ამასობაში ბ-ნმა ე.შევარდნაძემ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები მოაძლიერა, უშიშროების სამინისტროში, მისსავე საწინააღმდეგოდ იგორ გიორგაძის მიერ შექმნილი სპეცდანაყოფები „ალფა“ და „ომეგა“ თავისად გაიხადა და ამაყი და თავნება მხედრიონი ისტორიის სანაგვეზე მოისროლა.

ბ-ნო ჯონი, ახლა თქვენს უკანასკნელ გესლიანი ირონიით ნათქვამ ციტატას გავცემ პასუხს. შემდეგ კი დაგეშვიდობებით.

თქვენი ციტატა: ღმერთმა იმედი ნუ დაგიკარგოთ და ხელი მოგიმართოთ „იმედის“ ბიჭო, გენერალობაზე.

ხალხის სამსჯავროს წინაშე მომავალ შეხვედრამდე პოლკოვნიკო!

გარდა იმ შინაგანი და გარეგანი დამანგრეველი ძალებისა, რომლებმაც საქართველოში სამოქალაქო ომის ესკალაცია გამოიწვია, თვითოეულ ჩვენთაგან ში ერთი, ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი, მძვინვარე და საშინელი ამპარტავნობის თვისება მოქმედებდა და მუშაობდა...

ეროვნულმა მოძრაობამ მისსავე წიაღიდან გამოსულ ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტება და დადიდკაცება ვერ აპატია.

პატივმოყვარეობის ეს ჭია ჩვენში ახალი არ არის, იგი მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ხასიათსა და გენში მოგვყვება. ამ დღემდე ამიტომ ვართ.

დღეს ეს ჭია თქვენში ზომაზე მეტად აბობოქრდა ბატონო ჯონი და სიმართლის თქმისათვის ჩაქოლვასაც ამიტომ მიპირებთ...

საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სიტყვები მინდა შეგახსენოთ:

„განგებას ღვთისას ვერსად წაუვალთ,
რაც დაგვემართა ჩვენზედ ახია,
რამეთუ დღესაც მამა-დავითზე,
დიდი ილიას მკვლელი მარხია“.

ის მკვლელი დღეს თვითოეული ჩვენგანის სულში და ხასიათში მარხია სხვა და სხვა დოზით და თუ დროზე არ ჩავკალით და გავსრისეთ გველის წიწილივით, ხვალ აქეთ გაგვსრესს.

რაც ჩვენ დაგვემართა და გვჭირს ეს სასჯელია, მკაცრი სასჯელი ჩვენი ამპარტავნობის გამო.

ჭეშმარიტად ერისა და ღმრთის სამსჯავრომდე, ჩემო დაბნეულო თვისტომო.

პირველი გვერდიდან

ქუთაისელი პოლიციელები ელექტროდენს იყენებენ

გახშირდა უკანონო დაკავების და ძალადობის ფაქტები: პროკურატურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ქუთაისელი პოლიციელები დაკითხვისას ელექტროდენს იყენებენ. არის შემთხვევები, როცა უკანონოდ აკავებენ არა მარტო ეჭვმიტანილებს, არამედ მოწმეებსაც და დაზარალებულებსაც.

სისტემატური ხასიათი მიიღო თბილისსა და რუსთაავში სანქციის გარეშე ჩხრეკის ჩატარებამ, პარადოქსალურია ისიც, რ] მექრთამეობაზე მხოლოდ .3 საქმეა აღძრული და აქედან ორია სასამართლოზე წარდგენილი.

გენერალური პროკურორის მოადგილემ, ალექსანდრე შუშანაშვილმა დადებითი შეფასება მისცა 19 ივნისის სხდომაზე პრეზიდენტის განცხადებას — კორუფციის წინააღმდ; ბრძოლის ზედა ეშელონებიდან დაწყების თაობაზე. მან სასამარ.ლო რეფორმის ყველა დეტალის საჯაროდ გამოქვეყნება და განხილვა მოითხოვა, რასაც დარბაზიდან მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

ალექსანდრე შუშანაშილმა დაფიქსირა განსაკუთ.ებული კეთილგანწყობილება პარლამენტის მიმართ და მისთვის ჩვეული იუმორით ისაუბრა პარლამენტსა და პროკურატურას შორის ურთიერთობების კურიოზულ შემთხვევებზე.

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა ხაზი გაუსვა პროკურატურის მიერ კანცელარიაში წარმოებული შემოწმების შედეგების უაღრესად დიდ მნიშვნელობას — კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. მანვე ისაუბრა ახალი სისტემის შექმნის შესახებ, რაც გამოიხატება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ყოველი შემოსავალ-გასავლის, მოგზაურობის ღირებულების დოკუმენტებში მკაცრ აღნუსხვაში.

დაბოლოს, სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, რომელმაც მწკავედ დასვა ყოფილ მხედრიონელთა საკითხი:

— „დროა შედგეს იმ პირთა სია, რომელნიც ძებნაში არიან, ჩადენილი აქვთ ძმიმე დანაშაული და იმალებიან საზღვარგარეთ“.

ია ბუკოვსკაია

მერაბ პაპავას ხსოვნას

თავზარი დაგვცა შენმა უეცარმა და უდროო სიკვდილმა. წამივით ხელში ჩაგვადნა შენი 27 წლის სიცოცხლე. შენ ალამაზებდი ირგვლივ ცხოვრებას, ფაქიზ სულთან ერთად ვაუკაცური და შეუპოვარი ბუნება გქონდა. მუდამ გვერდით ედექი შენს მეგობრებს, თავს ევლებოდი შენს საყვარელ დედას და ბებიას, პატარა დისშვილებს, დებსა და ძმას. არ ვიცით, რით ვანუგეშოთ ისინი. შენ ჩვენთვის განსაკუთრებით საყვარელი იყავი — ჩვენი ძმაკაცობის სული და გული! ეხლა კი, ეს გული თითქოს ვიღაცამ ამოგვაცალა.

ხარება და ნათელში ბრუნვა ნუ მოჰკლებოდეს შენს ამაღლებულ და ალალ სულს! დაე, სიკეთე ნათლად გექცეს და ნათლად დაგადგეს ახალმისულს შორეულ საუფლოში.

მერაბ, შენს სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან ვაუკაცობა, სიკეთე და სიყვარული არასოდეს კვდება.

მეგობრები

გაზეთი «საქართველო» – ეროვნული თვითმმართველობისათვის მებრძოლი (1915-1921 წ.წ.)

მეოთხე გვერდიდან

მელსაც თავმჯდომარეობდა არაქელოვი. გენერალი თამამშვილისადმი წარდგენილ ბარათში, იგი მოითხოვდა 88.000 მანეთს, რათა დახმარება გაეწია ოსმალეთიდან დევნილი სომხებისათვის, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

სომხური პრესა ამტკიცებდა, რომ სომხების ულეტა ოსმალეთში გამოწვეული იყო რუსეთის სომხების მოხალისეთა რაზმების შექმნით და საზოგადოდ, რუსული ორიენტაციით. მეორე მიმართულება დაუსრულებლად იმეორებდა იმ აზრს, რომ თურქეთის სომხების ამოყულეტა წინასწარ განზრახული შედეგი იყო. გამოქცეულთა ტალღამ უფრო გააძწვავა ქართველებთან დამოკიდებულება. გაზეთ „საქართველოს“ მიხედვით, სომხობა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. კავკასიელ სომეხთა პოლიტიკანობამ სისხლისაგან დაცალა ოსმალეთის სომხობა. კავკასიელები უფრო გატაცებულნი იყვნენ რუსეთის ორიენტაციით. მიქაელიანცი გაზეთ „დენში“ წერდა: „სომეხთა მოღვაწეებმა, საზოგადოებებმა, უნდა დაივიწყონ პარტიული დავა და სომხური ბურჟუაზიის დახმარებით უნდა იზრუნონ დარბეულ საშშობლოზე“.

ოსმალები ჰპირდებოდნენ სომხებს ავტონომიას, სადაც უნდა შესულიყო განჯის, ერევნის, ვანის, თბილისის, არზუმის ვილაიეთები და სხვა. ამაზე ოსმალეთის სომხობას უარი უთქვამს და ნეიტრალობა ულიარება. ამის შემდეგ ნაწილი კავკასიისაკენ წამოვიდა და ისედაც შევიწროებული მოსახლეობა შეავიწროვა.

რეზო გაბაშვილი ეხებოდა სომეხი ლტოლვილების საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრება-დასახლების საკითხს, რაც იმ დროისათვის რეალობას წარმოადგენდა, და რასაც ხელს უწყობდა იმდროინდელი თვითმპყრობელური ხელისუფლება მეფის ნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მეთაურობით. ქართული საზოგადოების ეროვნული სულისკვეთებით მოაზროვნე ნაწილს არ შეეძლო მშვიდად ექცირა მისთვის. თუმცა ისინი სთვლიდნენ, რომ ჰუმანური პოზიციებიდან გამომდინარე, დევნილთათვის ხელის გაწვდომა აუცილებელი იყო, მაგრამ რაღაც ზღვრამდე „საღი გონება ადამიანისა, საღი რეალიზმი პოლიტიკაში, მოითხოვს — იხელმძღვანელო არა განყენებული სათნოებით, არამედ ხალხის რეალური ინტერესებით...

რგაბაშვილი წერდა:

„არავისგან დამალული არ არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობენ სომხები, როგორც ძველთაგანვე, ისე უმთავრესად მე-19 საუკუნის გამოქცეულნი და გადმოსახლებულნი, რომელთაც დაიჭირეს მიწები იმ ქართველი და არაქართველი მაჰმადიანებისა, რომელნიც აწიოკებდნენ, ანდა იძულებულნი იყვნენ გაქცეულიყვნენ. გამოქცეულ სომეხთა ტალღა ნელ-ნელა, მაგრამ დაუნებით იკავებდა ჩვენს ტერიტორიებს. ეს ტალღა მე-20 საუკუნისთვისაც არ ჩერდება და ყველანი დღევანდელი სოციალისტი და არასოციალისტი მოწამენი ვართ, რომ ათი ათასობით, ახი ათასობით სომეხი მორბის და სახლდება არა მარტო ერევნის და განჯის გუბერნიებში, არამედ ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, თბილისის და გორის მაზრებშიც კი. გვესმის, რომ სომეხი ერი მხარდაჭერასა და გამოსარჩლებას საჭიროებს, მაგრამ როცა ისინი სამშობლო მიწას გვედავებიან, მათთვის მხარის დაჭერა ამ დროს რაღაც ყიზილბაშურს გვაგონებს. დასასრულს უნდა ვთქვათ, — განაგრძობდა რგაბაშვილი, — რომ ქართველი ერი ვერ დასთმობს, თუნდას უნდოდეს კიდეც, იმ ბუნებრივ საზღვრებს, რომელნიც ორგანულ ნაწილს შეადგენენ მისი ტერიტორიისას და აგრეთვე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვითარსებობისას“. (იხ. გაზ. „საქართველო“ 1915 წ. 17 დეკემბერი).

სომხებთან ურთიერთობის საკითხებზე წერისას ქართული ეროვნული დემოკრატიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე დავით ვაჩნაძე ქართველ სოც-დემოკრატთა და ს ოც-ფედერალისტების, აგრეთვე ანტიქარ ული მმართველების სხვა პარტიათა წარმ ადგენელთა გასაგონად მიუთითებდა: „ქარ თული სოციალისტური პარტიები ინტერნაციონალური დროშის ჩრდილქვეშ თავშეფარებულნი, არაფრად აგდებენ საქართველოს ზოგიერთი ტერიტორიის სხვის (ამ შემთხვევაში სომხების) ხელში გადასვლას, ვინაიდან თვლიან, რომ იქ „რეალურ მოსახლეობას“ სომხები წარმოადგენენო, და სავსებით ივიწყებენ ისტორიულ კუთვნილებას, ერის ისტორიულ მეხსიერებას“. ასეთი განჯით აღშფოთებული დავით ვაჩნაძე მიუთითებდა: „რა ვუყოთ, რომ დღეს სომხები სცხოვრობენ, ქალაქ თბილისშიც დღეს უმრავლესობას სომხები შეადგენენ, მაშინ თბილისიც ქართველებისა არა ყოფილა. ქართლშიც ბევრი სომხები სცხოვრობენ, მაშ შესაძლოა ხვალ, ზეგ, სომხების პოლიტიკოსების აზრით, საქართველოს მიწა-წყლის საზღვრები ქართ...ის შუაგულში გადაიწიოს?!“ და შემდეგ სავსებით მართებულ აზრს ავითარებდა, რომლის გახსენება არც დღეისათვის იქნებო. და ურიგო: „საქართველოს ხსენებული ტ.ერიტორიის საზღვრებში მოსახლე სომხო... — წერს დ.ვაჩნაძე, — რასაკვირველია, თუ მოისურვებს თავის ადგილზე დარჩება. ქართველ ერს არავინ უდევნია, მით უფრო სომხები, რომელთათვინაც საქართველოს კარები წარსულშიაც და დღესაც ღია, მაგრამ ისტორიის დავიწყება უმადურობა იყო და ამას მოაგონებდა იგი სომხებს: „ქართველმა ერმა თქვენ დაგითმოთ თავისი სისხლით მორწყული მამულდედული. ისარგებლეთ რა ამით თქვენ, იყავით სომხები თავის შეგნებით და რჯულით, მაგრამ გახსოვდეთ, საქართველოში სცხოვრობთ და ჭირში და ლხინში მასთან ერთად უნდა იყოთ, როგორც ქართული პოლიტიკური მოქალაქენი და ერთი სახელმწიფოს შვილნი. ამასვე მოსთხოვს რასაკვირველია, ყოველ ქართველს, დასახლებულს სომხის მიწაწყალზე“. დასასრულს დ.ვაჩნაძე მტკიცედ აცხადებდა: „ქართველი ერი თავის ძველისძველ პოზიციებზედა სდგას. ეს პოზიციაა — დაიცვას თავისი პაწია კუთვნილება იმ საზღვრებში, რომელიც მის ეროვნულ-ტერიტორიულ სახეს ხატავს და პოლიტიკურ ცხოვრებას ჰქმნის და ასაზრდოებს, და მარტო საქართველოს უსულო გვამად გადაქცევა თუ დასთმობს მას“... (იხ. გაზ. „საქართველო“ 1915 წ. 23 ნოემბერი №155).

გაზეთი „საქართველო“, 1915 წლის 24 დეკემბერს აღშოთებული წერდა სოხუმის თვითმართველობაზე, განსაკუთრებით ქალაქის თავის ნ.თავდგირიძის თვითნებურ საქციელზე, რომელიც თითქოს ხელს უწყობდა საქართველოს დანაწილებას, მის ტერიტორიაზე უცხო ტომთა რიცხვის გამრავლებას და ეთნოგრაფიული ერთიანობის დარღვევას. სოხუმის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლესი ადმინისტრაციის წინაშე, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებს, მამულის შეძენისათვის, უფლება მიეცათ. გადაწყვეტილების მიღება ხელს უწყობდა სომეხთა კანონიერ დამკვიდრებას ამ რეგიონში და საუკეთესო მიწების ათვისებას. თ.შერვაშიძე 1904 წელს საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე განაცხადა კიდეც, გადმოსახლებული სომხები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ შიშილით ამოვწყდებოდითო.

გაზეთი სისტემატიურად ეხმაურებოდა სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებს, თუ იგი ერისა და ტერიტორიული მთლიანობის იდეას შეეხებოდა. განსაკუთრებით კიცხავდა იგი ქართველ ფედერალისტებსა და სოციალისტებს არაქართულ დამოკიდებულებაში სომხური ავტონომიის შექმნის საკითხთან მიმართებაში, რაც თანამედროვე ეტაპზეც არ კარგავს მნიშვნელობას და ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს შეახსენებს, რომ ეროვნული ნიშნით დაყოფილი და დაჭუცმაცებული საქართველო, მომავალი თაობისათვის თავსატეხი გახდება.

მანანა დოლიძე



თარაზულად: 5. ქალაქი აზერბაიჯანში; 7. ლითონის კოჭი; 9. დეკორატიული მიზნით დათესილი ბალახი, ჩვეულებრივ, მოკლედ და თანაბრად გაკრეჭილი; 10. პერსონაჟი სპექტაკლისა „კავკასიური ცარცის წრე“; 12. ლოკო (გურულ, იმერულ დიალექტზე); 14. მიწის ფართობის საზომი ერთეული იმ ქვეყნებში, სადაც გავრცელებულია ინგლისური საზომთა სისტემა; 15. ყოფაქცევის ნორმათა ერთობლიობა; 17. რისანე შესანახი ყუთი; 18. მთავრობის მეთაური ან მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე; 21. სურათი, რომელზედაც გადაღებული საგნის ნათელი და მუქი ადგილები სინამდვილეში არსებულის შესაბამისია; 25. თოვლის კრისტალი; 26. გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი; 27. ასაკით, წლოვანებით სხვაზე დიდი; 28. ხეხილოვანი მცენარე; 29. სოფელი დუშეთის რაიონში; 32. საფლავის ქვის წარწერა; 35. ფაქტის დამადასტურებელი საბუთი; 36. კისერი, ქედი (სასაუბრო სიტყვა) 37. შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი და ისტორიული მხარე ტაშირში (ახლანდელი სომხეთი); 39. ვერდის ოპერა; 41. მდინარე დასავლეთ საქართველოში, ტეხურის შენაკადი; 42. ცხვრის ტყავის ქუდი; 43. ახლა, ამ შემთხვევაში, ესე იგი...; 44. ამერიკის მკვიდრი მოსახლე (ზოგადი ტერმინი).

შვეულად: 1. სოფელი სოხუმის რაიონში, კლიმატურ-ბალნეოლოგიური საკურორტო ადგილი; 2. მაღალი და მხარბეჭიანი; 3. გოჩას მკვლელი (ფილმი); 4. სიცივე, როცა ჰაერის ტემპერატურა ნულს ქვემოთაა; 6. ფეხით მავალი; 8. ზოგი ფეთქებადი ნივთიერების საერთო სახელი; 11. სიტყვა, რომელიც მიუთითებს რისამე მოქმედების დასასრულზე; 13. დედააზრი, რაობა; 15. ოპტიკური ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ეკრანზე მიიღება, როგორც გამჭვირვალე ობიექტის, ისე გაუმჭვირი საგნის გამოსახულება; 16. დანიის დედაქალაქი; 19. ცნობების გავრცელება ვისამე ან რისამე პოპულარიზაციის მიზნით; 20. რეალობით გაუმართლებელი აღტაცება, აღფრთოვანება; 22. ხალხური თხრობითი ნაწარმოები; 23. უპატრონო, ობერი, ვერანი; 24. აკაკი კვანტალიანის ეკრანული სახე; 25. დნობის დასაჩქარებლად; მადანს დამატებული ნივთიერება; 30. მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა ჭადრაკში; 31. მდგომარეობა, როცა რაიმე იაფად იყიდება; 33. წყლით დასველებული, დამბალი (და აზელილი) მიწა; 34. ფული საერთოდ (გურიაში, იმერეთში, აჭარაში); 35. ქამუშაძე (დ.კლდიაშვილის მოთხრობის პერსონაჟი); 36. ქალის ან კაცის გრძელკალთებიანი ტანსაცმელი (ძველქართული შესატყვისი); 38. სიყვარული, ტრფობა; 40. თავის სახლში, თავის ბინაზე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. სკიპტრა; 5. მუზეუმი; 8. მასტროიანი; 9. ანემია; 11. ამბარი; 13. იკვი; 14. ხატია; 15. დავა; 17. ჩვილი; 18. ცორვა; 21. ვაკე; 22. ტვიდი; 24. აული; 25. მულინე; 27. ამიაკი; 28. კომპრესორი; 29. „სირტაკი“; 30. კესარია.

შვეულად: 1. პრუსია; 2. ქულაჯა; 4. კომუნიკე; 6. მაკაროვი; 7. მოტორი; 10. მნიშვნელი; 12. ბედოვლათი; 14. ხალა; 16. ჭოჭი; 19. კაპუცინი; 20. ბლეკპული; 23. ვეზირი; 26. ერმაკი; 27. აპოგეა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41